

ახალი თაობა



2 თებერვლიდან

„ახალ თაობასთან“ ერთად

„ბიტლზი დღიდან დღემდე“

ფასი გაზუთთან ერთად 17 ლარი

ბიტლზი

დღიდან დღემდე



ტარი ბაროსუბი

სამშაბათი, 2 თებერვალი, 2016

№26 (6952)

ფასი: 50 თეთრი

„ერთსქესიანთა ქორწინების პროპაგანდისტვის 5 მილიონი დოლარი შემოვიდა“



ჩატარდება თუ არა ამ საკითხზე რეფერენდუმი

დავით უსუფაშვილი:

„ქართული ოცნების“

პირველი ნომერი

კვირიკაშვილი იქნება“

„რესპუბლიკელები კოალიციის დატოვებას არ ვაპირებთ“



სოსო შატბერაშვილი:
„ერთსქესიანთა თემა არეულობის გამოსაწვევად შემოგვადებულ“



„ხალხში მკაფიოდ გამოიკვეთა მესამე და მეოთხე ძალის მოთხოვნა“



ქანა ქუკავა: „საარჩევნო კოდექსის შეცვლით ეპროპულ არჩევნებს მივიღებთ“



„სხვა გზა არ გვაქვს“



დავით თევზაძე:

„ჯარის გართვა

არაკომპეტენტური აღაშიანების ხელშია“

სამხედრო მოსამსახურე დღეს არაფრისგან, არანაირი ვოლუნტარისტული გადაწყვეტილებებისგან დაცული არ არის



ბია ვოლსკი:

„პრეზიდენტის მოხსენება

აკადემიურად

უნდა

ჩაეაზაროს“

„2008 წლის მოვლენების გამოძიება შეიძლება რუსულ-ქართული ურთიერთობები გააუმჯობესოს“



განგაუის ზარები... გვ.6





დავით უსუფაშვილი: „ქართული ოცნების პირველი ნოზარი კვირიკაშვილი იქნება“

„რესპუბლიკელები კოალიციის დატოვებას არ ვაპირებთ“

შორენა მარსაგივილი

საკანონმდებლო ორგანოში პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენებისთვის ემზადებიან. გიორგი მარგველაშვილი პარლამენტის წინაშე ხვალ, 3 თებერვალს, წარდგება.

როგორც პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა გიორგი კვერცხილაძემ განაცხადა, მარგველაშვილი მზადაა, პარლამენტის წინაშე ნებისმიერ ფორმატში წარდგეს.

რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ გიორგი მარგველაშვილის გამოსვლას შესაძლოა მთავრობაც დაესწროს. ამასთან დაკავშირებით მზადყოფნა უკვე გამოთქვა გიორგი კვირიკაშვილმა.

ამის მიუხედავად, ჯერ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, დაესწრებიან თუ არა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები პრეზიდენტის გამოსვლას. საქმის კურსში არც პარლამენტის თავმჯდომარეა.

გუშინ, 1 თებერვალს, გამართულ პრესკონფერენციაზე დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ პრეზიდენტის პარლამენტში ყოველწლიური მოხსენებით მოსვლა ქვეყნისთვის ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენა უნდა გახდეს, როგორც ახალი წლის მოსვლა.

უსუფაშვილის განმარტებით, მთავრობას 3 თებერვლის პლენარულ სხდომაზე დასწრების უფლება აქვს, მაგრამ არა ვალდებულია.

პრემიერ-მინისტრმა ამაზე ისაუბრა, როცა თქვა, რომ ეს არის ჩვეულებრივი, მნიშვნელოვანი მოვლენა და თუ მას ფიზიკური შესაძლებლობა ექნება და რაიმე სხვა უფრო მნიშვნელოვანით არ იქნება დაკავებული, ის ამ შეხვედრას დაესწრება ხოლმე – არა მხოლოდ ახლა, არამედ ზოგადად, მომავალშიც. იგივე პოზიცია დაიკავეს მთავრობის წევრებმა და ამ თემაზე პასუხი გაცემულია.

ჩვენ ესაუბრობთ პარლამენტის მიერ პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენების მოსმენაზე და, შესაბამისად, ამ სხდომაზე ყოფნის ვალდებულება აქვთ პარლამენტის წევრებს და პრეზიდენტს. სხვა თანამდებობის პირებს – პრემიერს და მინისტრებს აქვთ უფლება, პარლამენტის სხდომებს დაესწრონ და, სურვილის შემთხვევაში, პარლამენტის კარი, რა თქმა უნდა, მათთვის ღია იქნება, – განაცხადა უსუფაშვილმა.

პრეზიდენტის გამოსვლასთან დაკავშირებით ნაციონალურმა აქვთ ამა-

ვი ატყვილი. ისინი პოლიტიკურ დებატებს ითხოვენ. მმართველი ძალის მიერ შეთავაზებული ფორმატი მათ არ აკმაყოფილებს. სპიკერი კი ამბობს, რომ დებატების საკითხი გადაწყვეტილია.

– თუკი მხოლოდ ფრაქციები გამოვლენ, ამას პოლიტიკური დებატები არ ერქმევა. გვაქვს ორი ფორმატი, როცა ფრაქციების წარმომადგენლები გამოდიან პარლამენტის ბიუროს მიერ დადგენილი ხანგრძლივობით. პარლამენტში 12 ფრაქცია გვაქვს, აქედან შეიძლება უმრავლესობაში და სუთი – უმრავლესობის გარეთ. მეორე შემთხვევაში, თუკი დებატები იქნება, ამას ემატება ჩემი გამოსვლა, ვიცე-სპიკერების გამოსვლა და ფრაქციების გარეთ მყოფი დეპუტატების გამოსვლა. აქაც აუიოტაჟია ატყვილი, რადგან დებატები ყველა შემთხვევაში იქნება – გამოვა უმრავლესობა, უმცირესობა და თავ-თავიანთ პოზიციას დააფიქსირებენ, – განაცხადა სპიკერმა.

პრესკონფერენციაზე უსუფაშვილმა კიდევ ერთი პრეზიდენტის გამოსვლაზე ისაუბრა. საქმე ეხება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გამოსვლას. გიორგი ქადაგიძე ითხოვს, რომ პარლამენტმა მისი ანგარიში მოისმინოს. საკანონმდებლო ორგანოს კი ამის დიდი სურვილი არ აქვს, რის გამოც ქადაგიძეს ლარის კურსით უთამაშებს ნერვები.

უსუფაშვილის განცხადებით, პარლამენტში ეროვნული ბანკის ანგარიშს კანონმდებლები მაშინ მოისმენენ, როდესაც პარლამენტი და ეროვნული ბანკი ერთმანეთში შეჯერდებიან.

მისი თქმით, ეროვნული ბანკის ანგარიშს მოსმენა გიორგი ქადაგიძის უფლებამოსილების გასვლის შემთხვევაშიც აუცილებლად უნდა შედგეს.

– ამ ვალის გასტუმრების გარეშე მე თვითონ არ წავალ ამ თანამდებობიდან, ვიჯდები და ვიჯდები, ვიდრე ამ ვალს არ გავისტუმრებ. ჩვენ უნდა მო-



„პოლიტიკა კეთილშობილ ქალიშვილთა და ჭაბუკთა კრებული არ არის“

ვისმინოთ ეროვნული ბანკის ანგარიში, შარშან, ამ დროს რომ ამოსწურვოდა ქადაგიძეს ვადა, ამის გამო ანგარიშს ალარ მოვისმენდით მერე? ჩვენ ბანკის ანგარიში გვაქვს მოსასმენი, ეს უკავშირდება არა ქადაგიძის თუ ვინმე სხვა გვარს, არამედ იმას, როდის მოხდება ამ საკითხის განხილვა პარლამენტში, – აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

პრეზიდენტების გამოსვლების გარდა, სპიკერს სხვა საჭირო ორგანო თემებზეც მოუწია საუბარმა.

ერს და მამასადაზე მედიას ყველაზე მეტად იმის გარკვევა აინტერესებს, დატოვებენ თუ არა რესპუბლიკელები კოალიცია „ქართულ ოცნებას“.

სპიკერი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკელები არსად მიდიან და პარტია მომავალ არჩევნებშიც კოალიციის შემადგენლობაში იქნება. – იმ დღიდან, კოალიციაში შევედით თუ არა, დაიწყო ამბები, აი, ნახავთ, რომ რესპუბლიკური პარტია 2 დღეში წავა სადმეო. სანაძლეობები უნდა დამედო ყველა იმ პროგნოზის გამცემისთვის, ჟურნალისტისთვის თუ ოპონენტისთვის. ვინ სად მიბიძგებს, იცით რა, მაგრამ ვზივარ რა. ამ ბიძგებს რომ



ვექვემდებარებოდე, მაშინ რატომ უნდა ვიჯდე იქ, სადაც ვზივარ. ბიძგების სურვილი რომ არ იყოს, მაშინ პოლიტიკა არ იქნებოდა. ეს არ არის კეთილშობილ ქალიშვილთა და ჭაბუკთა კრებული, სადაც, უიმე, თქვნი ჩირიმე, რამე არ გეტყვინოთ და არ განყენიოთ. რა თქმა უნდა, ეს კონკურენციაა, – განაცხადა უსუფაშვილმა.

რესპუბლიკის წახვლა-მოსვლის გარდა, ეროვნულ ეროვნულ საარჩევნო სიების დაკომპლექტებაც აინტერესებს. როგორც ამბობენ, ამ თემაზე კოალიციაში დიდი დაპირისპირებაა.

უსუფაშვილის განცხადებით, მმართველ კოალიციაში კოცტების საკითხი არათუ გადაწყვეტილია, არამედ ამ თემაზე საუბარი არც კი დაწყებულია.

– კოალიციაში ეს საკითხები არათუ გადაწყვეტილია, არამედ ამ თემაზე მსჯელობა არც კი ყოფილა. კოალიციის ლიდერი არის გიორგი კვირიკაშვილი და, ბუნებრივად, კოალიციის ლიდერზეა ძალიან ბევრი რამ დამოკიდებული ასეთი ტიპის საკითხების მოგვარება-გადანწყვეტაში როგორც პარტიის შიგნით, ისე კოალიციურ მასშტაბში. ასე რომ, სრულიად შეგნებულად არ გვაქვს არათუ გადაწყვეტილი ეს საკითხები, არამედ საგნობრივი განხილვებიც არ დაწყებულია, – განაცხადა უსუფაშვილმა.

მისი თქმით, სიების შედგენაში აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას ბიძინა ივანიშვილი.

– მთავარი ფიგურა, პირი, რომელიც იქნება გადამწყვეტი უფლებამოსილების, იქნება კოალიციის ლიდერი. სიის დაკომპლექტება ნიშნავს კოალიციურ შეთანხმებას. ერთ ადამიანს არც მაშინ, 2012 წელს, დაუკომპლექტებია

სია და ვერც ახლა იქნება. ამაში ბიძინა ივანიშვილის როლი მგონია, რომ იქნება, მაგრამ არა მგონია, რომ მისი აქტიურობა იყოს თუნდაც რაიმე ახლოს მისატანაც კი, რაც იყო 2012 წელს, როდესაც თავად ხელმძღვანელობდა ამ სისტემას.

ირაკლი ლარიბაშვილს რაც შეეხება, ძალიან ბევრი წელი გავატარეთ ერთად, ძალიან მძიმე საქმეში. თუ ხვალ, ზევ ირაკლი ისევ მოისურვებს რაიმე ტიპის აქტიურობას და ჩვენ ერთად აღმოვჩნდებით, მე მხოლოდ მოხარული ვიქნები. თუმცა მე მისი უახლესი გეგმების შესახებ არაფერი მსმენია, – განაცხადა უსუფაშვილმა.

მისივე თქმით, საარჩევნო სიის პირველ ნომერთან დაკავშირებით დაუნერვლი კანონია და თავისთავად იგულისხმება, რომ არჩევნებზე პარტიასა თუ კოალიციას ლიდერი მიუძღვება. ამასთან, ის არ უარყოფს, რომ „ოცნების“ საარჩევნო სიის პირველი ნომერი, შესაძლოა, კვირიკაშვილი იყოს.

– საარჩევნო სიის პირველ ნომერთან დაკავშირებით, მგონი, დაუნერვლი კანონია, თავისთავად იგულისხმება, რომ არჩევნებზე პარტიასა თუ კოალიციას ლიდერი მიუძღვება. ეს თემა ქალაქში დაწერილი და ხელმოწერილი არ არის, იმდენად, რამდენადაც თავისთავად იგულისხმება, რომ ნინასარჩევნო პერიოდში ვინც იქნება კოალიციის ლიდერი, კოალიციას ის უნდა გაუძღვოს, – ამბობს სპიკერი.

უსუფაშვილი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ახლად არჩეულ პრეზიდენტის მემორ აგრამუნტის შეფასებასაც შეეხრო.

ეს კაცი საქართველოს მოქმედ ხელისუფლებას აშკარად ცუდი თვალი უყურებს. რამდენიმე დღის წინ მან განაცხადა, რომ თბილისის ყოფილ მერი გივი უგულავა პოლიტიკატიმარია.

სპიკერი ამ განცხადებას დიდ შეცდომას უწოდებს.

– აგრამუნტის ეს განცხადება დიდი შეცდომაა და ეს იმას ნიშნავს, რომ ევროპაშიც უშეგნებ შეცდომას, – განაცხადა უსუფაშვილმა.

გია ვოლსკი: „პრეზიდენტის მოხსენება აკადემიურად უნდა ჩაატაროს“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, გია ვოლსკის განცხადებით, მთავრობას პრეზიდენტის ანგარიშის მოსმენაზე დასწრების საშუალება უნდა მიეცეს, რადგან ეს ურთიერთობის დალაგების მნიშვნელოვანი ნაწილია.

გია ვოლსკიმ ეს პარლამენტში პრეზიდენტის მოსმენაზე მთავრობის შესაძლო დასწრების თემის კომენტარებისას განაცხადა.

დეპუტატის შეფასებით, საკანონმდებლო ორგანოში პრეზიდენტის მოსმენის დღე აკადემიურ ფორმატში უნდა ჩატარდეს.

– ამ თემაზე რამდენი ხანი უნდა ვისაუბრო არ ვიცი, მოვრჩეთ რა. მთავრობას უნდა მიეცეს იმის საშუალება, რომ მოუსმინოს.

საზოგადოებასაც მისცეს ნიშანი, რომ ეს არის ფორმალური, თუმცა მნიშვნელოვანი ნაწილი ურთიერთობების დალაგებისა. ეს დღე აკადემიურად უნდა ჩაატაროს.

ვილპარაკებთ თავად პრეზიდენტის შესაძლო როლზე, სახელმწიფოს წინაშე მდგარ გამოწვევებზე, რასაც ყველა შტომ უნდა მიაქციოს სათანადო ყურადღება, – განაცხადა გია ვოლსკიმ.



თამაზ მეჭიაური: „პრეზიდენტზე ახირება არ მაქვს“



მომონს, მაგრამ ჯერ არ ვიცი რას იტყვის, იქნებ ყველაფერს კარგს ამბობს, – განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის, თამაზ მეჭიაურის განცხადებით, ის დაელოდება, რას იტყვის პრეზიდენტი პარლამენტში და შეფასებას შემდეგ გააკეთებს.

თამაზ მეჭიაურმა ამის შესახებ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

– ანგარიშს მოვუსმენ და თუ საინტერესო და მისაღები იქნება, ახირება კი არ მაქვს, კაცო, შევაქებ კიდევაც, თუ კარგ რაღაცეებს იტყვის. არ ვიცი ნინას-ნარ რას იტყვის, მე ხომ არ ვუკარნახებ. ვაი, თუ მერე მაგან გაითვალისწინოს და ზემოქმედებად ჩამოვილიან, – განაცხადა მეჭიაურმა.

დეპუტატის თქმით, თუ მას პრეზიდენტის გამოსვლაში რაიმე არ მოეწონა, შესაბამის შეფასებას გააკეთებს.

– არც ადრე ვიყავი ძალიან ნაწყენი, რაც არ მომწონდა ვამბობდი და რომ ვიტყვი ხოლმე, მერე გადამივლის. თუ ახლაც საჭიროა, ვიტყვი რაც არ მაქვს, – განაცხადა მეჭიაურმა.

ნოუსბრესი

ახალი თარიღი

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოლო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოლო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგივილი

განთი
გამოცემის
 1993 წლის
 23 ივლისიდან

კონსულტანტები
 ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – ჯორჯ ბალაგაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გაფრთხილების სამსახური – მერაბ ლევინაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკავალდება – ინგა დვალისძე, ნონა კანდელაკი, მზია ქიქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეგისტრირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე განთავსების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიწესტეურე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.



დავით თაყაიძე: „ჯარის მართვა არაკომპეტენტური აღმინახვის ხელში“

გულიკო ბალაძე

ყოფილი თავდაცვის მინისტრი მოქმედ თავდაცვის მინისტრს და თავდაცვის სამინისტროში გადამწყვეტილებების მიმღებ პირებს აკრიტიკებს. კრიტიკას ბიძგი ცენტრალური აფრიკაში სამშვიდობო მისიით მყოფი ჯარისკაცების მიმართ გამოთქმული ბრალდების გასაჯაროებამ მისცა, რაც საზოგადოებას გენერალური შტაბის უფროსმა ვახტანგ კაპანაძემ აცნობა.

რა გავლენას იქონიებს ქართული ჯარის პრესტიჟზე აფრიკაში ჩვენი მისიის მიმართ გამოთქმული ბრალდებები? ამ კითხვას დავით თაყაიძემ პრესკლუბ „პირველში“ უპასუხა: — რა მოხდა, ზუსტად არაფერ არ ვიცი. აქედან გამომდინარე, მსჯელობა, რა გავლენას იქონიებს, იქნება სპეკულაცია. ზოგადად, არ არის კარგი თუ მოხდა ის, რაზეც ლაპარაკობენ. სამწუხაროდ, ასეთი რამეები იშვიათი არ გახლავთ ასეთი მისიების დროს. ერთ პერიოდში ძალიან გასკანდალბული იყო ანალოგიური სამშვიდობო მისიის სამხედრო მოსამსახურეთა როლი კოსოვოში. ერთდროულად შემთხვევით თუ არის, დიდი ანგარიშით ჯარის პრესტიჟზე გავლენას არ იქონიებს, თუ საქართველოს აღმოაჩნდა უნარი, რომ სავარაუდოდ დამნაშავეები გამოავლინოს და დასაჯოს, როგორც ამას მოითხოვს შესაბამისი კანონმდებლობა.

— შესაძლო დანაშაულის შესახებ

ნებ მედიაში გასულ წელსაც იყო საუბარი, ოღონდ, თავდაცვის სამინისტრო ამას უარყოფდა.

— ჩემთვის ძალიან ძნელია ლაპარაკი, მაშინ რა იყო და დღეს რა არის. როგორც მასსოვს, წელიწადზე მეტია, ამაზე ლაპარაკი. მაშინ ითქვა, რომ ქართველი სამხედრო მოსამსახურეები არ იკვეთებოდნენ, როგორც დანაშაულში მონაწილეები ან თანამონაწილეები.

დავით თაყაიძის განცხადებით, თავდაცვის მინისტრი დარწმუნებულია, რომ იყოს ჯარისკაცების უდანაშაულობაში, არავის გაათავისუფლებდა.

— მინისტრი დარწმუნებულია რომ იყოს, უფლებამოსილებას არავის შეუჩერებდა. მინისტრი დარწმუნებული არ არის და წინასწარ ცდილობს, თვითონ გამოიწინდეს უკეთესი, ვიდრე მის დაქვემდებარებაში მყოფი ადამიანები არიან. ცოტა უცნაური მოქმედებაა სწორედ მისგან. მით უმეტეს, რომ მინისტრს თინა ხიდაშელის პრაქტიკაში არის გახმაურებული კაბელების საქმეზე ადამიანების სამსახურში აღდგენა მაშინ, როცა სასამართლო ჯერაც არ დასრულებულა.

მეორე მომენტია ადამიანები, რომლებიც შეიძლება, საერთოდ, არ იყვნენ შეხებაში დანაშაულთან და აღმოჩნდნენ დასჯილები. სჯობდა, მოკ-



ვლევა დასრულებულიყო და ამის შემდეგ მიეღო გადაწყვეტილება, — აცხადებს თავდაცვის ყოფილი მინისტრი. — თუმცა, ამერიკის ელჩი მიესალმა მათ გადაწყვეტილებას. — ამერიკის ელჩმა თქვა, რომ მოეწონა მინისტრის პოზიცია, რომ ის აპირებს, თუ დამნაშავეები აღმოჩნდებიან, დასჯის. დამნაშავეებს დასჯის კანონი, მინისტრი რა შუაშია. დავით თაყაიძის აზრით, საქართველოში სამხედრო ძალებში არაკომპეტენტური პირების მართვის ქვეშ არიან. — ეს არის სამწუხარო რეალობა. ამას არ შევლის არც ჩემი ლაპარაკი,

არც გამოსვლები, ვიდრე პოლიტიკური ნება არ იქნება იმისა, რომ სერიოზულად შეხედონ სამხედრო მანქანას სახელმწიფოში, — აცხადებს ყოფილი მინისტრი.

— მინისტრია არაკომპეტენტური თუ გენერალური შტაბი?

— ადამიანები, რომლის ხელშიც არის ჯარის მართვა, მთლიანად არაკომპეტენტურები არიან. კომპეტენტურობა განისაზღვრება იმით, რაზე ეუბნება მინისტრს უარს და როგორ იცავს თავის თვალსაზრისს. ასეთი პიროვნება არ ჩანს. მინისტრი თვლის, რომ თუ ვინმე გაბედა მისი მოტყუებით გაბედა მოიხსნას. თუნდაც ეს სიტუაცია აჩვენებს იმას, რომ სამხედრო მოსამსახურე დღეს არაფრისგან არანაირი ვოლუნტარისტული გადაწყვეტილებისგან დაცული არ არის. როგორც გინდათ, ისე მიაბით ამას შესაბამისი დასკვნები.

დავით თაყაიძემ შტაბის პროკურატურის მიერ რუსეთ-საქართველოს ომის გამოძიებაზე გამოთქვა თავისი მოსაზრებები:

— რა პროცედურები აქვთ, არ ვიცი. საუბარია სამხედრო დანაშაულების გამოძიებაზე. იმედია მაქვს, მხარეები ითანამშრომლებენ გამოძიებასთან.

სანდრო თვალჭრელიძე: „აროვნული ბანკის ახალი პრეზიდენტი უნდა იყოს პროფესიონალი და აპოლიტიკური“

ნათია სურცილავა

ეკონომიკის ექსპერტი სანდრო თვალჭრელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ლარის კურსის გაუფასურების სამ ძირითად მიზეზს ასახელებს.

სანდრო თვალჭრელიძე:

— პირველ რიგში უნდა დავასახელოთ საერთაშორისო ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც არც ისე სახარბიელოა. მეორე არის საშინაო მიზეზი, რომელიც გამოწვეულია იმისგან, რომ დღემდე უცნობია, თუ ვინ იქნება ეროვნული ბანკის ახალი პრეზიდენტი. ასეთ სიტუაციაში ეროვნული ბანკის სამეთვალყურეო საბჭო სიფრთხილეს იჩენს და არსებით, აუცილებელ ქმედით ზომებს არ მიმართავს, რათა ლარი გააძლიეროს. მესამე მიზეზი არის ჩემთვის გაუგებარი.

— რას გულისხმობთ?

— მთავრობის პასიურობას ეროვნული ბანკის მიმართ და ასევე მთავრობის მხრიდან არარსებობას იმ ფინანსური მექანიზმებისა, რომლებიც ლარს გააძლიერებს.

— მთავრობამ ხარჯებზე უნდა თქვას უარი, რათა ლარი დასტაბილურდეს?

— არა, მე არ ვფიქრობ, რომ ეს არის გამოსავალი, ეს უფრო ზედამართულია, მეორეხარისხოვანია. მთავარია, იმ ინსტრუმენტის გამოყენება მოხდეს, რომელიც ეროვნულ ბანკს გააჩნია და რომელსაც ის არ იყენებს.

— მონეტარული პოლიტიკაზე საუბრობთ?

— დიას, სწორედ მონეტარული პოლიტიკა, რომელიც ხელთ აქვს ეროვნულ ბანკს და რომელსაც უნდა მიმართოს. აქ უფრო სიღრმისეული ქმედებებია საჭირო.

— რა მექანიზმია საჭირო?

— ეს მექანიზმი მარტივია. ფინანსთა სამინისტრომ და ეროვნულმა ბანკმა შეწყობილად უნდა გააკონტროლონ ყოველ-



დღიური თანაფარდობა მიმოქცევაში მყოფი უცხოური ვალუტის და ეროვნული ვალუტის და შეამცირონ მიმოქცევაში მყოფი ლარის ბანკნოტები, რაც თავის დროზე, 1998 წლის რუსეთის დეფოლტის შემდეგ გააკეთა ირაკლი მანაგაძემ. მაშინ ასე მოხდა ლარის კურსის შენარჩუნება.

— იგივეს ურჩევთ?

— რასაკვირველია, აუცილებელია მიმოქცევიდან ლარის ამოღება. ხისტი ქმედებებია საჭირო. ჩვენი ეკონომიკა ასეთ ხისტ ქმედებებს კარგად გაუძლებს. ასეთი ჩარევები ჩვენი მოსახლეობისთვის იქნებოდა შეუძლებელი, განსაკუთრებით კი მათთვის, ვისაც ამერიკულ დოლარში აქვს სესხი აღებული.

— მთავრობის მხრიდან ხშირად ისმის არგუმენტები, რომ მეზობელ სახელმწიფოებში უარესი მდგომარეობა ვალუტის გაუფასურების მხრივ, ეს არის მისაღები არგუმენტი?

— არასწორია იმის მტკიცება, რომ აზერბაიჯანში მათი მანათი გაუფასურდა. პრეზიდენტმა ალიევმა სპეციალურად გააუფასურა მანათი იმისთვის, რომ რუსეთთან სავაჭრო ბალანსი დადებითი ჰქონდეს. ხელოვნურ და ბუნებრივ გაუფასურებას შორის დიდი განსხვავებაა.

— გიორგი ქადაგიძის უფლებამოსილების ვადა ორ კვირაში გასდის. ახალი კანდიდა-

ტის დასახელება პრეზიდენტ მარგველაშვილის პრეოგატივია. რამდენად ჯანსაღი პროცესი მიმდინარეობს კანდიდატის შერჩევის?

— ვერაფერს გეტყვით, რადგან ამაში არ ვარ ჩართული.

— დანტერესებულ ჯგუფებს, ექსპერტებს თავიანთი კანდიდატის დასახელების უფლება ჰქონდათ.

— დიას, ამის შესახებ ჩემთვისაც არის ცნობილი, მაგრამ მე პირადად არ მიმიღია ამ პროცესში მონაწილეობა.

— ახალი პრეზიდენტი რამდენად იქონიებს გავლენას ლარის კურსის დასტაბილურებაზე?

— ჯერ საინტერესოა, რა ხედვები ექნება მას, როგორი იქნება მისი მუშაობის სტილი ბანკებთან, მოსახლეობასთან, მთავრობასთან ურთიერთობაში, რას შემოგვთავაზებს ის. მას შეუძლია, იქონიოს დადებითი გავლენა, რადგან სწორედ მის ხელთ იქნება ლარის კურსის დასტაბილურების მთელი რიგი ბერკეტები და ამის მაგალითები ჩვენთან არც ისე შორეულ წარსულში იყო.

— პრეზიდენტმა მთავარი აქცენტი კანდიდატის შერჩევისას რაზე უნდა გააკეთოს? — ეროვნული ბანკის ახალი პრეზიდენტი უნდა იყოს პროფესიონალი და, რაც მთავარია, აპოლიტიკური.

თინა ხიდაშელი: „საერთაშორისო წვრთნები ჩვენი თავდაცვისუნარიანობის ზრდის საუკეთესო საშუალება“

საზოგადოებრივი მაუწყებლის თოქ-შოუში „ვეტეორი“ პირდაპირი ჩართვისას საქართველოს თავდაცვის მინისტრი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაზრდასა და უსაფრთხოების ქოლგის შექმნის მიზნით.

თინათინ ხიდაშელმა საერთაშორისო წვრთნებსა და მისივე ქართული ქვედანაყოფების მონაწილეობა საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ზრდის ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო საშუალებად დაასახელა.

თინათინ ხიდაშელი:

— რაც უფრო უკეთ იქნებიან მომზადებული ჩვენი სამხედრო მოსამსახურეები, მით უფრო მეტია ალბათობა, რომ არავის გაუჩნდეს მეორე აზრი საქართველოსთან მიმართებაში. მათ შორის, ჩვენი მისიებიც სწორედ ამას ემსახურება. ჩვენი სამხედრო მოსამსახურეები ქვეყნის ფარგლებს გარეთ იცავენ მსოფლიო მშვიდობას, მაგრამ ამავედროულად იძალებენ კვალიფიკაციასა და წვდომას შესაძლებლობებთან. ეს არ არის ერთადერთი საშუალება, ჩვენ ძალიან ბევრ სხვადასხვა მიმართულებებზე ვმუშაობთ.

ჩვენი უსაფრთხოების გარანტია უფრო მაღალი შესაძლებლობებია თავდაცვისუნარიანობისთვის. ამაზე ვმუშაობთ ჩვენ.

წვრთნები და ჯარის მომზადება არის ერთ-ერთი ნაწილი, მაგრამ არა ერთადერთი. ცნობილი ფრანგული კონტრაქტი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაზრდას ემსახურება, — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

თავდაცვისუნარიანობის გაზრდის კუთხით თინათინ ხიდაშელმა ვიზალიზირალობა ახსენა:

— ეს იქნება ყველაზე საუკეთესო ინსტრუმენტი, რომელსაც დღეს ჩვენ შევთავაზებთ საქართველოს მოსახლეობას იმისათვის, რომ იგრძნოს, თუ რას ნიშნავს ევროპა. ასეთივე იქნება ის ნებისმიერი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების საშუალება, რომელიც უფრო მეტ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს ქვეყნისთვის. ასეთი არის თავისუფალი ვაჭრობა ევროპასთან, ასეთი არის საუბრები, რომლებიც დაწყებულია სხვა პარტნიორებთან, იმავე თავისუფალი ვაჭრობისთვის.

ჩვენ მუდამ უნდა გავსოვდეთ, რომ რამდენიმე ათეულ კილომეტრში სხვა ქვეყნის დროები ფრიალებს, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე და სულ რამდენიმე წლის წინ ქართული სოფლები ბულდოზერებით მიწასთან გაასწორეს იმისათვის, რომ ქართული მოსახლეობა უკან



არ დაბრუნებულიყო. ეს ჩვენს თაობაში მოხდა, ეს არ არის ისტორიის წიგნების ნაწილი.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს გვახსოვდეს მუდამ, როდესაც ვფიქრობთ გადაწყვეტილების მიღებაზე.

უსაფრთხოების ქოლგის შექმნის მიზნით კონტრაქტი თინათინ ხიდაშელმა შავი ზღვის რეგიონის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

— გუშინ და გუშინწინ შავი ზღვა არ წარმოადგენდა სტრატეგიული ინტერესის სფეროს ნატოსთვის. ყირიმის შემდეგ შავი ზღვა ნატოსთვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სტრატეგიული ევროპაა გახდა.

ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შავი ზღვის უსაფრთხოების ინფრასტრუქტურაში, რომელიც იქმნება დღეს ნატოს ფარგლებში, საქართველო იყოს სრულფასოვანი მონაწილე. იქნება დაცული შავი ზღვა? იქნება დაცული საქართველო? ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ საქართველო იყოს ამ დაცვის მექანიზმების ნაწილი, — აღნიშნა საქართველოს თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თოქ-შოუში „ვეტეორი“ პირდაპირი ჩართვისას.

მედიაინფო

სამკურნალო-სარეაბილიტაციო ასაჟი
ერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსასხროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩველ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლავია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმალ-ლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.
555-02-32-08. ძალაბაბონი ფიქრია



კახა კუკავა: „საარჩევნო კოდექსის შეცვლით ევროპულ არჩევნებს მივიღებთ“

„სხვა გზა არ გვაქვს“

ნონა ცაბაძე

პარტია „თავისუფალი საქართველო“ ლიდერი, კახა კუკავა, სხვა არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან ერთად, გასულ კვირას სტრასბურგში შეხვედრებს მართავდა.

ჩვენ ორი ძირითადი პრიორიტეტი გვქონდა. საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით შეხვედრები გვქონდა ევროპარლამენტში. გარდა ამისა, „თავისუფალი საქართველო“, როგორც მემარცხენე პარტია, თანამშრომლობს ევროპის მემარცხენე ძალებთან და მათთან შეხვედრები იყო ჩვენთვის პრიორიტეტული, – განაცხადა კახა კუკავამ „ახალ თაობასთან“ საუბარში.


კონკრეტულად ვისთან გქონდათ შეხვედრები?

ჩვენ შეხვედრები ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ხუთივე ფრაქციის პრეზიდენტს. შეხვედრები მომხსენებელს საქართველოს საკითხებზე და შემდგომში უკვე, ბრიუსელში შეხვედრები ევროკომისიის თანამშემწეს. ძირითადი ყურადღება ეთმობოდა საარჩევნო კოდექსს და იმ ანტიდემოკრატიულ ქმედებებს, რასაც ჩვენს ქვეყანაში ადგილი აქვს ბოლო სამი წლის განმავლობაში. ამან გამოიწვია იმდენად დიდი ინტერესი, რომ აპრილში დაიგეგმა სპეციალური ღონისძიება.

ღონისძიება რასთან დაკავშირებით?

ევროსაბჭოს ასამბლეის რამდენიმე ჯგუფი ჩამოვა საქართველოში და შეეცდნენ არჩევნებამდე დაელოდნენ შეფასება და ერთგვარი ზეწოლა მოახდინოს ხელისუფლებამ საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით.

რას შეეცდით ეს შეფასება,



თუკი არჩევნები ჩატარდება ძველი კოდექსით? ამ შემთხვევაში რა იცვლება ოპოზიციური პარტიებისთვის?

სწორედ ამიტომ ვამბობთ ჩვენ, რომ ეს შეფასებები გაკეთდება არჩევნებამდე და ჩვენი ამოცანა არის, რომ მოვახდინოთ საქართველოს ხელისუფლებამ ზეწოლა, რათა მათ განახორციელონ საარჩევნო რეფორმა, რომელიც უკვე დიდი ხანია, მომწიფებულია.

ითქვამს, რომ სპეცულები გაუქმდება და მეტ დათმობა შეეძლება ხელისუფლებას.

სპეცულები არ არის ოპოზიციის მოთხოვნა. ეს არის საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა.

რატომ?

სპეცულები აქტუალური არის შუალედურ არჩევნებზე და არა საერთო არჩევნებზე.

სპეცულები არის ინსტიტუტი, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ აძლევს ხმას შეიარაღებული ძალები. ეს არის მნიშვნელოვანი და აქტუალური,

შუალედურ არჩევნებზე, როდესაც არჩევნები ტარდება მარტო საგარეოში და ხელისუფლებას შეუძლია, მაგალითად, ჯარი, რომელიც არის განთავსებული გურჯაანში, არჩევნების დროს გადაიყვანოს საგარეოში და მიაცივინოს ხმა საგარეოში. აი, ეს არის პრობლემა.

საერთო არჩევნებზე სპეცულებს არავითარი დატვირთვა არ აქვს?

ხოლო საერთო არჩევნების დროს, სად მისცემს ჯარი ხმას, სპეცულებზე თუ ჩვეულებრივ უბნებზე, ამას არ აქვს პრინციპული მნიშვნელობა. ოქტომბერში არჩევნები იქნება ყველგან, გურჯაანშიც და საგარეოშიც. ხელისუფლებამ შუალედური არჩევნები მოითავა და ახლა გვეუბნება, რომ თანახმაა, სპეცულები გააუქმოს. ეს ცინიკური მიდგომაა და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან საერთო არაფერი აქვს.

დიდ იმედებს ამყარებდით ახალ პრემიერზე, თქვენს აქ არყუფნა-



ში შედგა შეხვედრა არასაპარლამენტო ოპოზიციასთან. გამოდის, რომ ფუჭი იყო ეს იმედები?

სპეცულების გაუქმება ოპოზიციისა და პრემიერის დიალოგის ფარგლებში არ ხდება. ეს ხდება ცალკე. ეს საკითხი თავისით გადაწყვეტეს, ეს „ქართული ოცნების“ შიდა გადაწყვეტილებაა. ეს არ ყოფილა ოპოზიციის მოთხოვნა. რაც შეეხება ოპოზიციისა და პრემიერის დიალოგს, შეთანხმება არის მიღწეული, რომ ჯგუფი უნდა შეიქმნას. დეტალებში ჯერ ბოლომდე გარკვეული არ ვარ, რომ ეს ჯგუფი უახლოეს დღეებში დაინიშნება მუშაობას. სწორედ იქ იქნება ის ძირითადი საკითხები განხილული, რომლებზეც შეიძლება შედგეს კომპრომისი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის.

რამდენად მიღწეულია ეს საკითხი, ან თუ გაითვალისწინებენ ევ-

როგაშორის რჩევებს?

არის ორი შესაძლებლობა, როგორ განვითარდება ქართული სახელმწიფო. პირველი ვარიანტი – ფართო ოპოზიციური სპექტრის, საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლით შეიცვლება საარჩევნო კოდექსი და ჩვენ მივიღებთ ევროპული ტიპის არჩევნებს, სადაც 5-6 პარტია გადალახავს ბარიერს და იქნება კოალიციური მთავრობა, რაც არის ნორმა ევროპულ ქვეყნებში. ან არის მეორე ვარიანტი...

რომელი?

რომ ხელისუფლება არ დათანხმდება საარჩევნო ცვლილებებს, ჩაატარებს ისევე გაყალბებულ არჩევნებს, მიიღებს ხმათა 51%-ს, რაც გამოიწვევს საზოგადოებაში უიმედობას. მომავალ წელს ისევე გამოიწვევს ქარიზმატული ლიდერი, რომელიც მიიღებს საზოგადოების 70%-იან მხარდაჭერას, ჩამოაყალიბებს ერთპარტიულ მთავრობას. ბიძინა ივანიშვილს ან დაპატიმრებს, ან თუ გაასწრებს, მასზე ძეხნას გამოაცხადებს და ისევე გვეყოლება ახალი ბიძინა ივანიშვილი. ანუ ისევე ის მეთოდი ხელისუფლების ცვლილებისა, რაც ჩვენ უკვე ორჯერ ვნახეთ, რომ ერთი ცუდი მთავრობის მაგივრად მოდის უფრო ცუდი მთავრობა.

ჩვენი წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ მეორე ალტერნატივას მეტი შანსი აქვს?

ამ ეტაპზე შესაძლებელია, მართლაც ასე იყოს. თუმცა სწორედ ჩვენი წარსულიდან გამომდინარე, ვიცით, რომ ეს მეორე ვარიანტი ქვეყნისთვის არის გამანადგურებელი და დამლუბველი. ჩვენ თუ გვინდა, რომ ამ წჭაობს და მანკიერ წრეს თავი დავაღწიოთ, აუცილებლად უნდა მივალნოთ პირველ ვარიანტს.

საზღვრებსა კინოლოგიური სფეროში შეიქმნება

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციასა და ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს შორის, საერთაშორისო მხარდაჭერისა და დახმარების ფარგლებში, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის მოდერნიზების მიზნით, დაახლოებით 10.000.000 აშშ დოლარის ღირებულების შეთანხმებებს მოეწერა ხელი.

ხელშეკრულების ფარგლებში, პირველ ეტაპზე, შს-ს სასაზღვრო პოლიციის სასაზღვრო სექტორების კაპიტალის და ქედის მშენებლობა დაიწყება, ასევე, საქართველო-სომხეთის სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთი დაკვირვების, თვალთვალისა და მონიტორინგის ტექნიკური საშუალებებით აღიჭურვება.



შეთანხმების საფუძველზე დაიგეგმა სასაზღვრო სექტორების კომპლექსური, ლამის ხუდვისა და სითბური კამერებით აღჭურვა, სპეცავტოტექნიკისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფა. 2017 წლის მარტამდე საქართველო-სომხეთის სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთის მთლიანად აღიჭურვება დაკვირვების სისტემებით და ტექნიკური საშუალებებით.

თებერვლიდან ასევე იგეგმება შს-ს სასაზღვრო პოლიციის კინოლოგიური ცენტრის მშენებლობის დაწყება, სადაც შესაძლებელი იქნება ინსტრუქტორების გადამზადება და სასამსახურო ძალების განვრცობა.

ახალი კინოლოგიური ცენტრი თანამედროვე სტანდარტების ვოლიერებით, საშენი ბოქსებითა და საოპერაციოებით იქნება აღჭურვილი.

ნოუსპრესი

„2008 წლის მოვლენების გამოძიება შეიძლება რუსულ-ქართული ურთიერთობები გააუმჯობესოს“

– ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს განცხადება 2008 წლის აგვისტოში მომხდარი ომის დროს ჩადენილი საგარეუდო სამხედრო დანაშაულებათა გამოძიების თაობაზე ოპტიმიზმით მიღეს როგორც თბილისში, ასევე ცხინვალში.

ორივე მხარე გამოთქვა იმედი, რომ გამოძიება ობიექტურად ჩატარდება და დარწმუნებული არიან, რომ გამოვლენილი დამნაშავეები სათანადოდ დაისჯებიან. მოსკოვი, რომელიც ასევე დაინტერესებულია ჰააგის სასამართლოს ობიექტურობით, ჯერ-ჯერობით რამდენიმე ოფიციალური კომენტარისაგან თავს იკავებს, – ნათქვამია რუსულ გამოცემა „ნეზავისიმაია გაზეტა“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიის (ავტორი იური როუსი).

სტატიის რეზიუმეს საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ ათავაზობს:

„სამხრეთ ოსეთი“, რასაკვირველია, აცხადებს, რომ სამხედრო დამნაშავეები საქართველოში უნდა ეძებონ. ნაწილობრივ აღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლებამ ჰააგის სასამართლოს თავისი მასალები უკვე გადასცა. ქართველი ვიზავეტი კი პირიქით – თავიანთ სიპართლეში არიან დარწმუნებული და იმედოვნებენ, რომ საერთაშორისო სასამართლო შეძლებს გაუკონტროლებელი ავტონომიის ტერიტორიაზე მყოფი სამხედრო დამნაშავეები დააკავოს და პასუხისმგებლობა დააკისროს.

სხვათა შორის, თბილისის ერთ-ერთი ბრალდება აბსოლუტურ სინამდვილეს წარმოადგენს და ეხება პირდაპირ პირისაგან მიწისა ალგვილ ქართულ სოფლებს, რომლებიც სამხრეთ ოსეთის მამინდელმა ხელისუფლებამ განახორციელა უკვე ომის შემდეგ. ამ ფაქტის დამადასტურებელი ვიდეოკადრები მსოფლიოს თითქმის ყველა ტელეკომპანიით იქნა დემონსტრირებული. თუმცა ამის გამო ცხინვალის თავს უხერხულად არ გრძნობს: ოსი ლიდერები დარწმუნებული არიან, რომ სიპართლე მათ მხარეზეა – ომი მიმდინარეობდა არა საქართველოს, არამედ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და თვით ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს, თუ ვინ დაესხა თავს და ვინ თავს იცავდა.

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი:

– აუცილებელია ვიცოდეთ, რომ ჰააგის სასამართლო სახელმწიფოს კი არ განიხილავს დამნაშავედ, არამედ იძიებს იმ სამხედრო დანაშაულებებს, რომლებიც ომის დროს იქნა ჩადენილი და გამოაქვს ვერდიქტი კონკრეტული დამნაშავეების პასუხისმგებლობის თაობაზე.

გამოძიებული იქნება ისეთი ფაქტები, როგორ-



რებიცაა ეთნიკური წმენდა, წამება და საერთოდ, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებები.

მტკიცებულებები ძალიან ბევრია: სასამართლოში უამრავი სარჩელია წარდგენილი და მათ შორის უმეტესობა საქართველოს მოქალაქეების მიერ. მთავარი საკითხი ისაა, შეძლებს თუ არა ჰააგის სასამართლო დანაშაულის ჩამდგენა დასჯას, რადგან მათი დიდი ნაწილი ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმყოფება.

სტატიის ვრცლად გადმოცემული პროკურორ ფატუ ბენსუდას განცხადება, თუ რა საგარეუდო დანაშაულებები იქნება გამოძიებული:

– პირველი – ესაა ეთნიკური წმენდა, რომელიც ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ იყო მიმართული (ოსური სამხედრო ძალების მიერ მშობლიური ადგილებიდან გაძევებული იქნა 18 ათასამდე ეთნიკური ქართველი), მკვლელობები (მოკლულია 113-მდე მშვიდობიანი მცხოვრები).

პროკურორის თქმით, ამ შემთხვევაში დღის

გიორგი კვიციანი კვიციანი პარლამენტში პარლამენტის განხილვის დასრულება

პარლამენტში პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ყოველწლიურ გამოსვლას პრემიერ-მინისტრი გიორგი კვიციანი დაესწრო. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მთავრობის ადმინისტრაციაში განუცხადეს.

გიორგი კვიციანი:

– პრეზიდენტის გამოსვლას პარლამენტში მთავრობის მეთაური დაესწრება. პოლიტიკური სპეკულაციები ამ თემაზე უნდა დასრულდეს. პრემიერ-მინისტრმა არაერთხელ გააუფერა, რომ აუცილებელია ქართული პოლიტიკა კონსტრუქციულ დისკუსიაში გადავიყვანოთ, სადაც კამათი და მსჯელობა ქვეყნის არსებით ინტერესებზე წარმართება და არა ფორმალურ საკითხებზე“, – აცხადებენ მთავრობის ადმინისტრაციის მიერ. პრეზიდენტი ყოველწლიური მისხვნებით პარლამენტს 3 თებერვალს მიმართავს.



ნოუსპრესი



„ერთსქესიანთა ქორწინების პროპაგანდისთვის 5 მილიონი დოლარი შეიპოვდა“

შორენა მარსაგიშვილი

ჩატარდება თუ არა ამ საკითხზე რეფერენდუმი

გასულ წელს გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს პარლამენტში მალე შევიდოდა საკანონმდებლო წინადადება ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების თაობაზე. როგორც „ახალი თაობისთვის“ ცნობილი გახდა, ამ თემაზე გარკვეული ჯგუფები რამდენიმე დეპუტატთან ანარმობდნენ მოლაპარაკებას. მიუხედავად იმისა, რომ დეპუტატების ნაწილი თავს ლიბერალად მიიჩნევს, ამ საკითხის წამოწევა ვერაინც გაბედა.

ეს საკითხი ცოტა ხნით დაკონსერვდა. ამ დღეებში კი ისევ მოხდა მისი გააქტიურება. ტრანსგენდერმა გიორგი ჩხარტიშვილმა, იგივე მაცაცკომ, საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა სარჩელი. ის საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას ითხოვს.

უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჭავანაძე მიიჩნევს, რომ ეს მართო ჩხარტიშვილის მიერ წამოწყებული საქმე არ არის.

ამ ადამიანის უკან ე.წ. გრანტიჩაძე დგანან, რომლებიც ამ საქმეს ლობობენ. რამდენიმე მათგანი ახლა გასუსულია და როგორც კი ამ თემაზე პოლიტიკა დაიწყება, მათგან გამოვარდებიან. ერთსქესიანთა ქორწინების პროპაგანდისთვის საქართველოში 5 მილიონი დოლარი შეიპოვდა, – აცხადებს მჭავანაძე.

მას ამ მიმართულებით საკონსტიტუციო სასამართლოს იმედი არ აქვს. ამიტომაც გადაწყვეტილების მიღებას საკანონმდებლო ორგანოს სთხოვს.

– ჩვენ ყველამ ვიცით, რომ სა-

კონსტიტუციო სასამართლო ანტიქართულ განწყვეტილებებს ლეზულობის თავეს ამ მიმართულებითაც გამოიჩენს. ამიტომაც მოვუწოდებ პარლამენტს, მიიღოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რითიც ის ნამდვილად შევა ისტორიაში. წლების წინ ითხოვდნენ ქრისტიან-დემოკრატები, რომ კონსტიტუციაში განეწილიყო ჩანაწერი, სადაც ჩაიწერება, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. დღეს ეს ჩანაწერი მხოლოდ სამოქალაქო სამართალშია. პარლამენტმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ეს ჩანაწერი კონსტიტუციაშიც გაჩნდეს, – აღნიშნავს უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე.

ის დარწმუნებულია, რომ დღევანდელი პარლამენტი ერთსქესიანთა ქორწინებას არ დააკანონებს. სამაგიეროდ, არ იცის, რას იზამენ 2016 წელს არჩეული დეპუტატები.

– ამიტომ ახლაც უნდა მოხდეს ამ გადაწყვეტილების მიღება. ეს საკითხი გასულ წელს ყოფილმა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა წამოსწავა, მაგრამ განცხადების იქით საქმე აღარ წასულა. ამას ალბათ რაღაც მიზეზი ექნებოდა. ალბათ არც ისაა შემთხვევითი, რომ ეს საკითხი ღარიბაშვილის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ გააქტიურდა, – ამბობს უფლებადამცველი.

მისი განცხადებით, კარგი იქნება, თუ ერთსქესიანთა ქორწინებასთან დაკავშირებით რეფერენდუმი ჩატარდება.

– არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანები ჩვენს ქვეყანაში ცოტანი არიან, ამის მიუხედავად, დიდია იმის ალბათობა, რომ

მათ ნებას თავს მოგვახვევენ. საქართველოში ხომ რატომღაც უმცირესობა გვახის თავზე და ამას დემოკრატიის გამოვლინებად მივიჩნევთ. ერთსქესიანთა ქორწინების საკითხი არის ძალიან მნიშვნელოვანი თემა და ამიტომაც ამ საკითხზე რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს. ბიუჯეტს დამატებითი სახსრების გამოყოფა აღარ დასჭირდება, რადგან წელს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ტარდება და რეფერენდუმის ჩატარებაზე მაგ დროს უნდა მოხდეს, – აღნიშნავს მჭავანაძე.

ის დარწმუნებულია, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების წინააღმდეგეა.

– საქიროა ხალხმა მანამ გამოხატოს თავისი პოზიცია, თორემ მერე გვიან იქნება. საფრანგეთში მილიონამდე ადამიანი გამოვიდა ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. შესაძლოა, აქაც იგივე მოხდეს, – აღნიშნავს უფლებადამცველი.

ის ოპტიმისტურად განწყობილ საზოგადოებასაც გააქტიურებისკენ მოუწოდებს. მისი თქმით, ტყუილად აქვთ იმის იმედი, რომ მართლმადიდებლურ ქვეყანაში ამის დაკანონებას ვერაინც გაბედავენ. ამის მაგალითად მას საბერძნეთი და იტალია მოჰყავს.

– დასავლეთ ვეროპაში ლამის იტალია დარჩა, სადაც ერთსქესიანთა ქორწინება არ იყო დაკანონებული. თუმცა იტალიის მმართველი პარტია და პრემიერ-მინისტრი ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას წელსვე აპირებენ, მიუხედავად იმისა, რომ იტალიის რელიგიური მოსახლეობისა, რომელიც ამ საკითხის



ირგვლივია, – ამბობს მჭავანაძე. საბერძნეთის მაგალითი კი მას იმის თქმის საბაზს აძლევს, რომ საქართველოში ამ მიმართულებით დასავლეთი ზეწოლა გააძლიერებს.

– საბერძნეთი ჩვენზე დიდი ქვეყანაა, სადაც სამონასტრო ცხოვრება მაღალ დონეზეა. დასავლეთის გარკვეულმა წრეებმა საბერძნეთი შეგნებულად გააბანკოტეს და შემდეგ უკვე ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება აიძულეს. საქართველოში პროპაგანდა უკვე დაიწყო. მალე ამ მიმართულებით მოთხოვნებიც გაჩნდება, – აღნიშნავს უფლებადამცველი.

მისივე განმარტებით, ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებით საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება.

– ამ ცოდვის დაკანონებით ლეთის რისხვას დაეიტყებ თავზე. ზოგიერთი ლიბერალისტი გამოდის და აც-

ხადებს, რომ იესო ქრისტე აქ რომ ყოფილიყო, თავადაც დაუჭერდა მხარს ერთსქესიანთა ქორწინებას, რაც არის ძალიან დიდი მკრეხელობა. გარდა იმისა, რომ ცოცხალში ჩაეღვამა ფეხს, ეს დემოგრაფიულ იმოქმედებას და ძალიან სერიოზული საფრთხის წინაშე დადგება, – მიიჩნევს უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე.

საკონსტიტუციო სასამართლოში შესატანად კიდევ ერთი სარჩელი მზადდება. თუ ერთსქესიანთა ქორწინება დაკანონდება, წყვილებს შვილის აყვანის უფლება უნდა მიეცეთ.

– ეს კიდევ უფრო დიდი უბედურება იქნება. ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ ასეთ ოჯახებში ბავშვები ნორმალურები ვერ გაიზარდებიან, – აღნიშნავს მჭავანაძე.

მას იმედი აქვს, რომ დაწყებული პროპაგანდას საქართველოში ბევრი ადამიანი შეეინაღმდეგება. კონსტიტუციაში გაჩნდება ჩანაწერი, რომ ოჯახი ქალისა და კაცის ერთობაა.

ერთი სქესის მქონე ადამიანების ქორწინება მთელი ქვეყნის მასშტაბით ლეგალურია ბელგიაში (2003), ესპანეთში (2005), კანადაში (2005), სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში (2006), ნორვეგიაში (2009), შვედეთში (2009), პორტუგალიაში (2010), ისლანდიაში (2010), არგენტინაში (2010), ბრაზილიაში (2013), საფრანგეთში (2013), ურუგვაიში (2013), ლუქსემბურგისა (2015) და ირლანდიაში (2015).

ის აგრეთვე ნაწილობრივ ლეგალურია დანიაში, მექსიკაში, ნიდერლანდში, ახალ ზელანდიაში, გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ში. ფინეთში ეს გადაწყვეტილება მიღებულია და ის ძალაში 2017 წლის 1 მარტიდან შევა.

ქვეთარაძის ქუჩაზე მამაკაცი უნებურად დაჭრილია

ქვეთარაძის ქუჩაზე უბედური შემთხვევის შედეგად მამაკაცი გარდაიცვალა.



ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ინფორმაციით, მამაკაცი მშენებლობის ობიექტიდან გამოვარდა და ავტობუსზე დაეჯახა. როგორც თვითმხილველები ამბობენ, გარდაცვლილი შვილთან ერთად მუშაობდა მშენებლობაზე.

საქმე 240-ე მუხლით აღიძრა, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს.

ქვეთარაძის ქუჩაზე მშენებარე შენობა 14 სართულიანია.

ნუსხურესი

საყდრისის საქმის მოსამართლის განცხადება

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ნანა დარასელიას ავტობიუსის ექსპერტის ტყვიანობის მანქანას დაახლოებით საბარგულთან მოხვდა. აღნიშნულ ინფორმაციას „რუსთავი 2“ ავრცელებს. დაზიანება მოსამართლემ საქალაქო სასამართლოს ეზოში აღმოაჩინა, თუმცა, სავარაუდოდ, მის ავტობიუსს სხვა ადგილას ესროლეს.

ნანა დარასელიამ მომხდარის შესახებ საპატრულო პოლიციას აცნობა. შინაგან საქმეთა სამინისტრო საქმეს სხვისი ქონების დაზიანების მუხლით იძიებს.

მოსამართლის მანქანასთან დაკავშირებით მომხდარ ინციდენტზე უკვე დანიშნულია ოთხი ექსპერტიზა, მათ შორის ბალისტიკური, ქიმიური და ტრასოლოგიური.

მოსამართლე ნანა დარასელია, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლეა. ერთ-ერთი გახმაურებული საქმე, რომელსაც ახლა ის განიხილავს, საყდრისის საქმეა.

დარასელიამ უნდა დაადგინოს, იყო თუ არა კანონიერი საყდრისის ქეგლის აფეთქებაზე ხელისუფლების მიერ გაცემული ბრძანება. საყდრისის საქმის გარდა, მოსამართლე ნანა დარასელია კიდევ რამდენიმე გახმაურებული საქმის მოსამართლე იყო.

პირველად ნანა დარასელია მედიის ყურადღების ცენტრში 2012 წლის 11 ივნისს მოექცა, როდესაც არჩევნების წინ, ბიძინა ივანიშვილი და მისი კუთვნილი კომპანიები კანონდამრღვევად ცნო და ჯერ 22, შემდეგ კი 21 მილიონი ლარით დააჯარიმა.

ნუსხურესი

სოსო შატბერაშვილი: „ერთსქესიანთა თემა არაულოზის გამოსაწვევად შეიპოვდა“

„ხალხში მკაფიოდ გამოიკვეთა მესამე და მეოთხე ძალის მოთხოვნა“

მარიამ მჭედლიშვილი

არსებობს მოსაზრება, რომ პოლიტიკაში ფაქტობრივი ორპოლუსიანობის შესანარჩუნებლად ხდებდა ახალი თემების ხელშეწყობა აქტუალიზაცია. ერთ ასეთ საკითხად ითვლება ერთსქესიანი ქორწინებები. მათ დასაკანონებლად პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა.

მემარცხენე ალიანსის გენერალური მდივანი სოსო შატბერაშვილი ეთანხმება იმას, რომ ამ თემაზე ხელშეწყობა აქტუალურია. ამასთან, მისი აზრით, ასეთი თემების წინ წამოწევა საქართველოში ვერ დაამკვიდრებს ორპოლუსიანობას. სოსო შატბერაშვილი დარწმუნებულია, რომ საქართველოში ვერც ერთსქესიანი ქორწინებები დაკანონდება.

სოსო შატბერაშვილი: – რომელი პრობლემის პროვოცირებაც არ უნდა მოხდეს, საქართველოში ორპოლუსიანობა, ანუ ორპარტიულობა ვერ დამკვიდრდება. პარლამენტში „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა წარმოადგენენ, მაგრამ, თავისთავად, მმართველი კოალიციაც მრავალსუბიექტურია. ამიტომ, ორპარტიულობა ახლაც კი არ გვაქვს. მით უმეტეს, ორპოლუსიანობა ვერ იქნება მომავალში. ერთპარტიულობა ჩვენ საბჭოთა კავშირში გამოვცადეთ. აშშ-ში ორპარტიულობაა, თუმცა, იქაც არსებობს მოთხოვნა სხვა ძალაზე. ევროპაში მრავალპარტიულობაა, რაც დემოკრატიულობის მაჩვენებელია. საქართველოშიც 200-ზე მეტი პარტიაა რეგისტრირებული. რეალურად, მათგან რამდენიმეა აქტიური და ამინდის შემქმნელი. სხვებით ნორმალური იქნებოდა, რომ პოლიტიკაში გადამწყვეტი იყოს დაახლოებით 4 სუბიექტის საქმიანობა. ერთსქესიანთა საკითხის ხელშეწყობა შეუძლებელია ორპარტიულობის ვერ დაამკვიდრებენ.

– ანუ ეს შემოგდებული თემაა? – რასაკვირველია, შემოგდებული თე-

მა. ეს წელი საარჩევნოა და ბევრი რამის ხელშეწყობა განმავრცავს ხდება.

– ვის აძლევს ხელს ლეგტიმაციის აქტიულობა? – პირველ რიგში, ნაციონალურ მოძრაობას. ნაციონალური მოძრაობის მიზანმიმართული პოლიტიკური ძალის მქონეობა ახლაც სულ ტყუილად ითვლება. სინამდვილეში, მას საპარლამენტო არჩევნებში 5%-იანი ბარიერის გადალახვის პრობლემა უდგას. სააკაშვილის პარტიას უნდა არეულობის გამოწვევა. ამისთვის ნაციონალური ყველა ღონის ხმარობენ. ახლა ახალი თემა წამოსწავს – ერთსქესიანთა ქორწინებები. დიდი ეჭვი მაქვს, რომ ამ საკითხის გააქტიურება „ქართული ოცნებაში“ მოკალათებულ რადიკალურ ლიბერალურ რესპუბლიკურ პარტიასაც სურს. ამ პარტიის წარმომადგენლებს განცხადებები ამ თემაზე, ასევე აფხაზეთზე და ა.შ. საზოგადოებისთვის შოკის მომგვრელია ხოლმე.

– არეულობის გამოწვევას როგორ აპირებენ? – ერთსქესიანთა ქორწინებების საკითხის განხილვაც კი გამოიწვევს ხალხის პროტესტს. ადამიანები ქუჩაში გამოვლენ. ეს გასაკვირი არ იქნება. ჩვენ გვახსოვს დიდი პროტესტი ამ თემაზე საფრანგეთში. ახლაც იყო აქციები იტალიაში. აშშ-ს შტატებშიც შეძლებისდაგვარად ებრძვიან ფედერაციულ ნორმებს და არ არევისტორიებენ ასეთ ქორწინებებს.

სექსუალური უმცირესობების დევნა არ შეიძლება, მაგრამ არ უნდა მივცეთ მათ თავისი ცხოვრების წესის პროპაგანდა, ასევე ქორწინების უფლება. ისინი ამით რყვნიან ახალგაზრდებს, რომელიც სწავლა-განათლებლაზე უნდა ფიქრობდეს. პომოსესუალიზმი ავადმყოფობად მიიჩნევა და დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი წყვილების ქორწინება არ უნდა დაკანონდეს. საქართველოში ეს ვერც მოხდება.

– ამით მწვევ პრობლემების გადაფარვაც ხდება? –

– დიახ. ლარის კურსის ვარდნა თითქმის ყველა ოჯახს შეეხო. ლარი 2014 წლის შემოდგომიდან გაქცეულა. არადა, მანამდე მოქალაქეთა კავშირი და ნაციონალიზმი თავს ლარის კურსის სიმყარით ინონებდნენ. ლარის დეველაციამ იმოქმედა ყველაზე. ეს საკითხი 99%-ს აწუხებს. მოსახლეობაში უფრო მეტად გაჩნდა მესამე პოლიტიკური ძალის მოლოდინი. მოთხოვნა გაჩნდა მესამე და მეოთხე ძალაზე, ანუ მათზე, ვინც ლარის ვარდნას შეაჩერებს და ეკონომიკას დაასტაბილურებს. როცა შემოგდებ ხელშეწყობა თემს, ცხადია, რომ ადამიანებს არც ლარის კურსის გაახსენდებათ და არც – სხვა პოლიტიკური ძალა.

– ანუ პრობლემების გადაფარვა მინც ხდება? –

– არის ამის მცდელობები. საბოლოოდ, ამ ბნელი ჩანაფიქრის ორგანიზატორებს არაფერი გამოუვათ. საქართველოში ვერც ერთსქესიანთა ქორწინებები დაინერგება და ვერც – ორპარტიულობა. ნაციონალიზმი და კორუპციული ძალა. „ოცნების“ მიმართ ნდობაც შემცირდა. მთავარია, გავაგრძელოთ 2012 წელს შემოტანილი პრაქტიკა. ესაა ხელისუფლების მშვიდობიანი, საარჩევნო გზა და უარის თქმა გადატრიალებებსა და რევოლუციებზე.

განცხადება-განუცხადება 5-20 კმ-ით თბილისში!

მარტივი და უსაფრთხო, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრობატების გარეშე. რეგულირდება მადი, ქრება უსიამოვნო სუნის პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი ინფორმირდება მთლიანად მლაკვისგან, სისხლძარღვები – ქოლესტერინისგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი სხედა უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადებით სასურველ ნონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიხალაში ზრის უსხლანი. სწრაფი და უწყალო პირობებში 1-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ანთროპოგენების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტური გენეტიკური სიდალის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამოცდის შემთხვევაში სასურველ შედეგამდე. 4-60 ქმითხანი

მის. მჭედო, „დილაში“, წერტილის ქ. 142, 1 სართული, კაბინეტი №6 ☎ 577-29-37-41, 247-58-83

განგაშის ზარები...

განათლების სამინისტრო ევროკავშირის დავალებით სექტემბრიდან ჩვენ შვილებზე მასობრივი შეტყვის განხორციელებას აპირებს.

ახალი სავალდებულო საგნების „მე და საზოგადოება“ და „ჩემი საქართველო“-ს მიზანი იქნება დანყებით კლასებში, 7-13 წლამდე ბავშვების, ერთი მხრივ, ბილნი და უსაშინლესი მამათმავლური ცნობიერებით მონამვლა, გარყვნა და, მეორე მხრივ, მათი სარწმუნოებრივ-ეროვნული ცნობიერების გადაგვარება და აღრევა.

ქვემოთ დოკუმენტურად გთავაზობთ ამ განზრახვის შემზარავ მაგალითებს.

I – მამათმავლობისა და სქესთა აღკვეთის შესახებ:

მასწავლებლების გადამზადებისა და სერთიფიცირებისთვის შექმნილ სახელმძღვანელოებში, რომლებიც დაწერილია უცხოელი ავტორების მიერ, ევროკავშირისა და USAID-ის პატრონაჟით, შავით თეთრზე წერია შემდეგი:

● „ვისაუბროთ სექსზე!“

გაიგე, პიტერი გეი ყოფილა?

ამოარჩიეთ რამდენიმე ადამიანი, რომლებიც თავისუფლად საუბრობენ თავიანთ სექსუალობაზე, ჰეტეროსექსუალიზმის, ჰომოსექსუალიზმის, ბისექსუალიზმისა და ტრანსსექსუალი ქალებისა და მამაკაცების ჩათვლით.“ (გვ. 186)

● „რჩევები ხელმძღვანელებს“

როგორია ჰომოსექსუალების სქესობრივი ურთიერთობა?

გონებრივი შტურმი, რომელიც ეძღვნება იმ ცნობილ ადამიანებს, ვინც ღიად საუბრობენ საკუთარ სექსუალობაზე.“ (გვ. 188)

● „მოქმედებაზე გადასვლა“

დაუკავშირდით თქვენს ქვეყანაში არსებულ ჰომოსექსუალების ან ლესბოსელების საზოგადოებას. მათ შესახებ ინფორმაციის მოპოვება მოქმედებაზე გადასვლის ერთ-ერთი გზაა. მოინვიეთ მათი წარმომადგენელი ჯგუფთან სასაუბროდ, რათა გაარკვიოთ, რომელი საკითხები და უფლებებია ყველაზე მწვავე თქვენს ქვეყანაში.“ (გვ. 189)

„კომპასი“ (სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით) რედაქტორები: პატრიცია ბრანდერი, ელლი კინი, მარი-ლორ ლემინერი)

● „იყო და არა იყო რა...“

ნახე, რა ხდება, როდესაც ცნობილი ზღაპრის პერსონაჟებს სქესს შეუცვლი.

თემები – დემოკრატია, დისკრიმინაცია, გენდერული თანასწორობა.

სირთულის დონე – მეორე დონე.

ასაკი – 7-13 წელი.

ხანგრძლივობა – 40 წუთი.

ჯგუფის სიდიდე – 8-15 ბავშვი.

სავარჯიშოების ტიპი – ამბის თხრობა, დისკუსია.

სავარჯიშოს აღწერა – ცნობილი ზღაპრის მოყოლა, რომელშიც პერსონაჟებს სქესი აქვთ შეცვლილი, რასაც გენდერულ სტერეოტიპებზე დისკუსია მოჰყვება.“ (გვ. 112).

● „ოჯახი და ალტერნატიული მზრუნველობა“

რა არის ოჯახი?

„ტრადიციული“ ოჯახის გარდა, რომელიც გულისხმობს დაქორწინებულ მშობლებსა და ბიოლოგიურ ბავშვებს, ევროპელები სხვა ოჯახებადაც ცხოვრობენ, როგორცაა:

ოჯახი, რომელიც ერთი სქესის მშობლებისგან შედგება.“ (გვ. 231)

„კომპასი“ (სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ბავშვებისთვის)

რედაქტორი და თანაავტორი ნენსი ფლანდერსი.

● გენდერი

წარმოიდგინეთ, რომ ერთ დღეს სხვა სქესის წარმომადგენელი გახდით. რისი შეცვლა მოგიწევდათ? პირველ რიგში, ალბათ, თქვენს გარეგნობას შეცვლიდით – ტანისამოსს, ვარცხნილობას და, შესაძლოა, სამკაულს. შესაძლოა, აგრეთვე ადამიანებთან ქცევის მანერის შეცვლაც მოგიწიოთ.“ (გვ. 105).

(სამოქალაქო განათლების პედაგოგის დამხმარე სახელმძღვანელო (სტატიების კრებული) „მარგარეტ ანდერსენი და ჰოვარდ ტეილორი“).

ეს ზემოთ ჩამოთვლილი სახელმძღვანელოები „კომპასი“, „კომპასი“ და ა.შ. ნათარგმნია „ადამიანის უფლებათა განათლების ცენტრის“ მიერ (რედაქტორი გიორგი კენჭოშვილი).

მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტრომ (განმარტების შემდგომ) ნაშალა თავისი ვებგვერდიდან მასწავლებლებისათვის გამზადებული მთელი ბიბლიოგრაფია, დაინტერესებულ მკითხველს მაინც შეუძლია მისი ნახვა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონულ ბაზაში, თუ ზოგადად ინტერნეტ სივრცეში.

თუმცა ამ ბილნი შინაარსის „სახელმძღვანელოების“ თარგმნა და შექმნა რა გასაკვირია, როდესაც ევროსაბჭო თავის რეკომენდაციებში თავის წევრ ქვეყნებს ამას პირდაპირ (ცინიკურად, თითქოსდა ბავშვის უპირატესი ინტერესის და მშობლების უფლების გათვალისწინებით) ავალდებულებს, კერძოდ:

ევროპის მინისტრთა საბჭოს რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისათვის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე – საქართველო

„CM/Rec(2010)5 რეკომენდაციის დანართი

VI. განათლება

32. ბავშვის უპირატესი ინტერესის გათვალისწინებით, შესაბამისი ზომები უნდა იქნეს მიღებული სკოლებში ურთიერთშემწყნარებლობისა და პატივისცემის მხარდასაჭერად მიუხედავად სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა. აღნიშნული უნდა მოიცავდეს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას გეგმებსა და საგანმანათლებლო მასალებში. აღნიშნული ასევე უნდა მოიცავდეს მოსწავლეთა და სტუდენტთა აუცილებელი ინფორმაციით, დაცვითა და მხდაჭერით უზრუნველყოფას, რათა მათ შეძლონ მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესაბამისად ცხოვრება. გარდა ამისა, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეადგინონ და განახორციელონ თანასწორობისა და უსაფრთხოების სასკოლო პოლიტიკა და სამოქმედო გეგმა. წევრ სახელმწიფოებს ასევე შეუძლიათ უზრუნველყონ დისკრიმინაციის საწინააღმდეგო ადეკვატური თრეინინგებისა თუ სხვა სახის მხარდაჭერისა და სასწავლო მასალების

ხელმისაწვდომობა. აღნიშნულ ზომებში გათვალისწინებული უნდა იქნეს მშობელთა უფლება ბავშვების განათლებასთან დაკავშირებით.“

II – სარწმუნოებრივ-სოციალური განათლებისა და რელიგიის, კულტურის, ეროვნული აღკვეთის შესახებ:

● სახელმძღვანელო სტანდარტში არსად არაფერია ნათქვამი არც ქართულ ეთნოგენეზისზე, არც ქართულ ენასა და ანბანზე და არც მისი იდენტობის განმსაზღვრელ, კონკორდატივ დაცულ, დომინანტ სარწმუნოებაზე, მართლმადიდებლობაზე.

არამედ, პირიქით, საქართველოს იდენტობად, მის ერთ-ერთ უმთავრეს მახასიათებლად და თავისებურებად არა მისი თვითმყოფადობაა წარმოდგენილი, არამედ საქართველოში მცხოვრებ უმცირესობათა მრავალფეროვნება.

„მასწავლებელი მოსწავლეს დაეხმაროს იმის გაცნობიერებაში, რომ საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი მისი ბუნებრივი, ეთნიკური, რელიგიური და კულტურული მრავალფეროვნებაა;“ („ჩვენი საქართველო“ ქვეპუნქტი 1. „ჩვენი საქართველო“).

● და თურმე ბავშვს ამ უმცირესობების დომინაციის არა მარტო აღიარებას ავალდებულებენ, არამედ მის გააზრებასაც და დაფასებასაც.

„მოსწავლემ უნდა შეძლოს ღირებულებების (კულტურული და სარწმუნოებრივი მრავალფეროვნების გააზრება და დაფასება...“ (საზოგადოებრივი მეცნიერებები, „მე და საზოგადოება“ საზ.მეც.დანყ.(I).10).

კი, მაგრამ საინტერესოა, როგორ უნდა დააფასოს, მაგალითად, ქართული კულტურისა და ქრისტიანული მრწამსის მატარებელმა ბავშვმა, დაუშვავთ, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანული ტრადიციული კულტურისთვის ყოვლად მისაღები და ჩვენთვის ყოვლად მიუღებელი მრავალცოლიანობა?

ან, კიდევ უარესი, როგორ უნდა დააფასოს მან, მაგალითად, იუდეური სარწმუნოება, რომელიც ქრისტეს თვითმარქვიად მიიჩნევს და ღვთისმშობელსაც შეურაცხყოფს?

ან და პირიქით, იუდაიზმის მიმდევარმა, როგორ უნდა გაიაზროს და დააფასოს ქრისტიანობა, როდესაც მას სარწმუნოებრივად არ აღიარებს და უპირისპირდება.

● ევროკავშირის მაცდური იდეოლოგიის მიხედვით ისინი ავალდებულებენ სხვადასხვა რელიგიური კუთვნილების მქონე ჩვენს შვილებს წმინდა წიგნებად მიიჩნიონ და აღიარონ მათი რწმენისთვის შეუთავსებელი წიგნებიც, მაგალითად, იუდეველებმა სახარება, ხოლო ქრისტიანებმა ყურანი:

„წმინდა წიგნი (ბიბლია, თორა, ყურანი)“ (პუნქტი 1. საზოგადოებრივი მეცნიერებები

„მე და საზოგადოება“ რწმენა, ზნეობრივი ღირებულებები და რელიგია)

და, ამასთან ერთად, ყველაზე ამაზრზენი და გაუგონარი ის არის, რომ ამ ბოროტი სახელმძღვანელოების სტანდარტის შემქმნელი ავტორები, ამ კულტურულ-სარწმუნოებრივ აღრევას არა მარტო ინფორმაციულად ასწავლიან და ნერგავენ, არამედ მის უკეთ ასათვისებლად და განსამტკიცებლად ისინი ბავშვებს ამ მოქმედებების ფიზიკურ განხორციელებასაც აძალებენ.



კერძოდ:

თითოეული მოსწავლე „როლური თამაშების“ გზით, როლში შესვლით ვალდებულია, განასახიეროს უმცირესობის როლები.

ა) მაგალითად, მან უნდა ითამაშოს, განასახიეროს რომელიმე რელიგიური შენობის როლი.

„როლური თამაში – „ალაპარაკებული ისტორიული ძეგლი“, სადაც ძეგლის როლში მყოფი მოსწავლე გადმოსცემს „საკუთარ თავგადასავალს“ და ისაუბრებს თემის/ქვეყნის წინაშე საკუთარ დამსახურებებზე.“

ქვეპუნქტი 2. IV კლასი

„მე და საზოგადოება“

რა თქმა უნდა, აქ არსად არის მინიშნება იმაზე, რომ, მაგალითად, ქრისტიანმა მხოლოდ ქრისტიანული ტაძარი შეიძლება განასახიეროს და სხვა აღმსარებლობისამ – სხვა, არამედ იგულისხმება, რომ ყველამ – ყველა.

ანუ თავისთავად ცხადია, რომ მუსულმანს შეიძლება მოუწიოს ქრისტიანული ტაძრის და მღვდელმსახურის განსახიერება, ქრისტიანს კი, თავის მხრივ, სინაგოგის და მეჩეთის, რაბინისაც და მოლასიც.

ბ) ასევე ბავშვთა აღზრდის მეცადინეობებში შედის ისიც, რომ მათ უნდა დააღაგონ ხოლმე სხვადასხვა რელიგიური დანიშნულების მქონე შენობები.

„გაკვეთილი ბუნებრივ გარემოში, სადაც მოსწავლეები რომელიმე რელიგიური ძეგლის ეზოს დასუფთავებაში, გამწვანებაში და ა.შ. მიიღებენ მონაწილეობას და მოახდენენ მისი სხვა პრობლემების იდენტიფიცირებას;“

„მე და საზოგადოება“

ქვეპუნქტი 1. III კლასი

სტანდარტის შედეგები

რალა თქმა უნდა, ამ სახელმძღვანელოს ავტორები, აპირებენ რა ჩაატარონ მსგავსი აქტივობები, არც იმას დაგიდევნენ, რომ ამ იძულებით, შეიძლება შეურაცხყოფდნენ უმცირესობების უფლებებს.

და, რა თქმა უნდა, არც იმას, რომ ამასთანავე უმრავლესობის უფლებებსაც შეურაცხყოფენ, რომელთაც ქრისტიანული სარწმუნოება კატეგორიულად უკრძალავს სხვა რელიგიის ტაძრების მოვლა-პატრონობასა და დასუფთავებას და, მით უმეტეს, მათ როლში შესვლასა და განსახიერებას.

და ეს აკრძალვა კანონიკურად იმდენად სერიოზულია, რომ მისი დამრღვევები შეიძლება ეკლესიიდან განყენებით, უზიარებლობით თუ სხვადასხვა ეპიტემიით დაისაჯონ კიდევ.

ეს ის იდეოლოგიაა, რომელიც ყველას ყველასთან გათანაბრებისა და გაიგივების სახელით, საბოლოოდ, მუსულმანს ჩადრის ტარებას უკრძალავს, ხოლო ქრისტიანს ჯვრისას.

ეს იდეოლოგია სინამდვილეში უპირისპირდება და ებრძვის მართლმადიდებლობასაც, მუსულმანობასაც, იუდაიზმსაც და სხვა ნებისმიერ სარწმუნოებასაც. ნებისმიერ ეთნიკურ, ეროვნულ თუ კულტურულ თვითმყოფადობას.

მისი მიზანია ახალი „ზე რელიგიის“ შექმნა, რომელმაც „ახალ წესრიგში“ უნდა გააერთიანოს უეროვნებო, უკულტურო, ურელიგიო და უსქესო, „ახალი ტიპის“ ადამიანი.

დასასრულ, კიდევ გვინდა აღვნიშნოთ, რომ როლური თამაშების მეთოდი ჩვენ შვილებს არა მარტო რელიგიური უმრავლესობის და უმცირესობების როლში შესვლას, განსახიერებას ავალდებულებს, არამედ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდგომ, მათ უკვე შესაბამისად მოსთხოვენ, განახორციელონ სხვა ნებისმიერი უმცირესობის როლებიც, მათ შორის, სექსუალურისაც.

რისი საფუძველიც, თუნდაც, ამ ახალ სახელმძღვანელოებში მრავალგზის ნახმარ, ერთი შეხედვით უწყინარ ციტატაშიც კი დევს:

„მოსწავლემ უნდა შეძლოს საერთო ნესების მნიშვნელობის გაცნობიერება, ქცევის ნესების თანატოლებთან შეთანხმება და დაცვა. შემწყნარებლური დამოკიდებულების გამოვლენა განსხვავებული რელიგიის, კულტურის და სხვა მიმართ.“

(სტანდარტების შედეგები (ბავშვის უფლებები და მოვალეობები)

საზ. მეც. დანყ. (1) 14.“)

რადგან ცხადია, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდგომ ამ ჩამონათვალის ბოლოს „და სხვა“-ში, უკვე თავისთავადაა შეყვანილი და იგულისხმება „გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნაც“.

„II. რეკომენდაციები მთავრობას პრიორიტეტული ქმედებების შესახებ შეიტანეთ ცვლილებები კანონმდებლობაში. კერძოდ:

1. სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა მკაფიოდ უნდა იქნეს შეტანილი ყველა შესაბამისი კანონის ანტიდისკრიმინაციული საფუძვლების ჩამონათვალში; ამავდროულად, მოსამართლეებმა ფართო ინტერპრეტაცია უნდა მისცენ ამ დებულებებს და განმარტონ, როგორც სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის ამკრძალავი ნორმა.“

(ევროპის მინისტრთა საბჭოს რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისათვის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე – საქართველო)

და ეს სულაც არ არის გასაკვირი, რადგანაც ევროპაში, მაგალითად, თუნდაც გერმანიის სკოლებში უკვე ფართოდაა დანერგილი ვალდებულება, რომ ყველა ბავშვმა ერთხელ მაინც განასახიეროს ლგბტ-ის როლი, რათა გაუჩნდეს მათდამი ემპათია, თანაგანცდა.

და, რა თქმა უნდა, ამაში ჩვენი ევროპელი „მეგობრები“ არ ცდებიან, რადგან ნებისმიერ ბავშვს, ამ შემთხვევაში ჩვენ შვილებს, რომელიც ერთხელ მაინც განასახიერებს, მოირგებს მამათმავლის როლს, მართლაც თავისუფლად შეიძლება გაუჩნდეს ამ უბინძურესი გარყვნილების მიმართ შემგუებლობა და მიმღებლობა.

და ბოლოს, ეს წერილი დასაბეჭდად უკვე მზად იყო, როდესაც ჩვენ, ჩვენს საშუალო სკოლებში, ამ სიბილწის დაუფარავი პროპაგანდის კიდევ ერთი გამაოგნებელი შემთხვევა აღმოვაჩინეთ.

კერძოდ, სკოლის მისაღებში, ყველაზე გამოსაჩენ ადგილას (მაგალითად, 42-ე სკოლაში, ვუკოლ ბერიძეზე) ევროსაბჭოს ქარტიის შტამპითა და დავალებით გაკრულია ლამაზი, ფერად-ფერადი აფიშა-კომიქსი, სადაც, არც მეტი და არც ნაკლები, დღისით მზისით, მაღალფარდოვანი ტერმინების „დემოკრატია და ადამიანის უფლებების ქვეშ“, ქალისა და მამაკაცის აღმნიშვნელი სიმბოლოების გვერდით გამოსახულია ტრანსგენდერის აღმნიშვნელი სიმბოლოც.

განგაშის ზარები...

ერი და ბერი უნდა აღდგეს და მთელი სიმკაცრით მოსთხოვოს პასუხი ხელისუფლებას, რათა მათ ვერ გაბედონ როგორც ერთი მხრივ, ამ სიბილწის რეკლამირების ხელშეწყობა, ასევე იმ ყველაზე ბოროტი იდეოლოგიის სახელმძღვანელოების შემოტანა, რომლებიც მთელ მსოფლიოში და ამჟამად საქართველოშიც, ტოლერანტულობისა და განსხვავებულობის შემწყნარებლობის ნიღბის ქვეშ, სინამ-

დვილეში ჩვენ შვილებს ეროვნებათა, კულტურათა, სარწმუნოებათა და სქესთა აღრევით ემუქრება.

P.S.

საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტს

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერი, კატეგორიულად მოვითხოვთ თქვენგან, რათა არ დაუშვათ და აკრძალოთ როგორც ამ უბინძურესი გარყვნილების, მამათმავლობის დამწერგავი და სარწმუნოებისა და ეროვნული იდენტობის შეურაცხყოფელი იდეოლოგიით გაჟღენთილი ახალი საგნების „მე და საზოგადოება“ და „ჩემი საქართველო“-ს ახალი ვერსიის შემოტანა საშუალო სკოლებში, ასევე ამ სიბილწის ნებისმიერი ფორმით პროპაგანდაც.

ჩვენი ვალია დავიცვათ ჩვენი შვილები, რათა ისინი სულით და ხორცილთა ჯანსაღნი, წესიერი, ზნეობრივი, სამშობლოს მოყვარულნი და ღვთისმოსავნი გაიზარდონ.

გურამ ფალავანდიშვილი – ფილოლოგი ელდარ შენგელაია – რეჟისორი ჯანსუღ ბაგრატიონი – საზოგადო მოღვაწე ლევან სალუქვაძე – მოქანდაკე ლევან ვასაძე – ბიზნესმენი გურამ გეგეშიძე – მწერალი მამუკა ჩარკვიანი – კომპოზიტორი ოთარ ლითანიშვილი – რეჟისორი არჩილ არველაძე – ფეხბურთელი გოჩა ჯამარაული – ფეხბურთელი მალხაზ თავართქილაძე – ცისფერი ტრიო გიორგი ლომთათიძე – ანსამბლი „შვიდკაცა“ ნონა გაფრინდაშვილი – ჭადრაკის დედოფალი ზურაბ ყიფშიძე – მსახიობი გიორგი გურგულია – მსახიობი ლაშა თაბუკაშვილი – მწერალი ირაკლი მემძარიაშვილი – საზოგადოება „თბილისელი“ მაია ჩიბურდანიძე – მსაოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში

რეზო ამაშუკელი – პოეტი ელიზბარ ჯაველიძე – საზოგადო მოღვაწე ზაზა მიმინოშვილი – ანსამბლი „შინი“ ნანი ბრეგვაძე – მომღერალი ზაზა ნიშნიანიძე – ბიზნესმენი გიორგი დონაძე – ეროვნული ფოლკლორული ცენტრის დირექტორი მერაბ ბერძენიშვილი – მოქანდაკე გიგა ბათიაშვილი – არქიტექტორი ომარ მხეიძე – მოცეკვავე, საზოგადო მოღვაწე ია მუხრან-ბაგრატიონი – საზოგადო მოღვაწე ერეკლე სალიანი – პოეტი ვაჟა ოთარაშვილი – პოეტი ნინო სალუქვაძე – ოლიმპიური ჩემპიონი ანზორ ერქომაიშვილი – მუსიკოსი, საზოგადო მოღვაწე რობერტ გოგოლაშვილი – ანსამბლი „თბილისი“ ჯემალ ჭკუასელი – „ერისიონი“ გიგი დედალამაზიშვილი – „მგზავრები“ ფრიდონ სულაბერიძე – მოცეკვავე, ქორეოგრაფი ლალი ბადურაშვილი – მსახიობი ვაჟა აზარაშვილი – კომპოზიტორი კიაზო ფიცხელაური – აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი კვესიტაძე – მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი როინ მეტრეველი – ისტორიკოსი, აკადემიკოსი თამაზ ჭილაძე – მწერალი გოჩა სვანიძე – რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი დავით შემოქმედელი – რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი მარიკა კვალიაშვილი – კომპოზიტორი დიმიტრი ლორთქიფანიძე – უფლებადამცველი

(სალომონიძე გიორგი)



პარლამენტმა „თიბისი ბანკს“ და „საქართველოს ბანკს“ საგადასახადო შეღავათები დაუნესა



პარლამენტმა უმსხვილეს ფინანსურ ორგანიზაციებს საგადასახადო შეღავათები დაუნესა. საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, ბიუჯეტში თანხების შეტანისგან თავისუფლდებიან კომპანიები, რომლებიც საერთაშორისო ბირჟებზე არიან გასული. დღევანდელი მონაცემებით, ასეთი სულ სამი მოთამაშეა – „საქართველოს ბანკი“, სამედიცინო კორპორაცია „ევექსი“ და „თიბისი ბანკი“.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკური კომიტეტის წევრი თემურ მაისურაძე „ბიზნესპრესისთვის“ საუბარში აცხადებს, რომ მართალია,

აღნიშნული შეღავათით ამ ეტაპზე მხოლოდ სამი კომპანია ისარგებლებს, თუმცა სამომავლოდ ეს ხელს შეუწყობს კონკურენციას.

– ვნახვარ, რომ ჯერჯერობით მხოლოდ ამ სამ სუბიექტს შეუძლია ამ შეღავათებით ისარგებლონ, მაგრამ ეს გაზრდის შესაძლებლობას, რომ ამ სისტემაში მოხდეს სერიოზული კონკურენტული მოთამაშეების შემოსვლა, – აღნიშნავს მაისურაძე.

მისი თქმით, მიზანი არის ის, რომ რაც შეიძლება მეტი ფული ჩაბრუნდეს ბიზნესში და მოხდეს ფასიანი ქაღალდების სისტემის განვითარება. მაისურაძე აღნიშნავს, რომ ამ

ხელშეწყობით ისარგებლებს ყველა, ვისაც ფასიანი ქაღალდები საერთაშორისო ბირჟებზე ექნება განთავსებული. მისი თქმით, ეს ცვლილება უფრო მომგებიანს გახდის ინვესტორებისთვის საქართველოში შემოსვლას და რეალური კონკურენცია შეიქმნება.

– ეს არ გახლავთ რომელიმე კომპანიის ლობირების შედეგი. იმედი მაქვს, რომ ამ მოთამაშეების რაოდენობა გაიზრდება და თან რაც შეიძლება სწრაფად. თუ დღეს 3 მოთამაშეა, ეს შეღავათი შესაძლებლობას გვაძლევს, რომ მომავალში იყოს 5-7 და უფრო მეტიც, – აცხადებს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრი ზურაბ მელიქიშვილი განმარტავს, რომ ცვლილება გულსხმობს მოგების გადასახადის გაანგარიშებისას ერთობლივი შემოსავლიდან ბირჟაზე განეული დანახარჯების გამოქვითვას.

მისი თქმით, ეს ცვლილება მხოლოდ მსხვილი ბიზნესისთვის არ უნდა ხდებოდეს.

– კარგი იქნება, რომ საშუალო

და მცირე ბიზნესის ხელშესაწყობადაც მოვიხმინოთ სერიოზული ინიციატივები. ბუნებრივია, იყო მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებთან კონსულტაციები და საკითხის დაყენება, – აღნიშნავს მელიქიშვილი.

საქართველოს პრეზიდენტის 2015 წლის 24 დეკემბრის კანონის თანახმად, ცვლილება შევიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში.

კერძოდ, 105-ე მუხლის მე-4 ნაწილს დაემატა „ე“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, გადასახადის გადახედვლას უფლება აქვს ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს წილობრივი ფასიანი ქაღალდების ან/და საერთაშორისო დეპოზიტარული ხელწერილების საფონდო ბირჟაზე (მათ შორის, უცხო ქვეყნის ალიარებულ საფონდო ბირჟაზე) განთავსებასთან და გამოშვებასთან, აგრეთვე ლისტინგის კატეგორიის/რეჟიმის ცვლილებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

ამ ცვლილების მოქმედება ვრცელდება 2012 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ქრისტინე გამოენაძე, ბაბიენი

განსხვავებები

მკურნალობა

- მიკროსაფინანსოთა საყურადღებოდ! მეტრო „ახმეტელთან“, ხალხმრავალ ადგილას, ხიზანიშვილის ქუჩაზე, I სართულზე ქირავდება ამავე პროფილით მომუშავე ახალგაზრდობის მქონე ფართი 18+14 კვადრატული მეტრი, საკუთარი სველი წერტილებით. გამქირავებლისთვის უმჯობესია პროფილის (დარემონტის!!!) შენარჩუნება. ტელ: 599-94-51-82; 591-68-90-20.
- გასახდომი ყავა!!! ხარისხიანს სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტის ანტილიპიდურ კუპაუს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.
- მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „ულანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „ულანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, სვინგა, გრიპის პროფილაქტიკა; „ულანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „ულანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტიბიოსიკური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.
- ვაკუუმური ბუხისი (კემორი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივი კომპონენტების დამზადებული მიგნით მისაღები დასალევი წამლი. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლებული ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკოზომიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ლივდის განმეორება-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მესხიერების გაუმჯობესება, ტინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის განმეორება ქოლესტერინისაგან, წნევის დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გამოშორების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- ქირავდება 3 თანხიანი ბინა ცოტნე დადიანზე, მიშენებით, ევრო-რემონტით, ავეჯით, ტექნიკით, გარაჟით, სათავსოებით. ფასი 300. ტელ.599512607. 577779704.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო განმეორება-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიაში.
- მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსასხართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმატული-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტურფიანობის, დისლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალო. ტელ: 598-516-53 ქ-ნი ფიქრია.

გიორგი ქაღაბიძე: „ეროვნულ ბანკს ლარის ახალი ბანკნოტების ბეჭდვა უფრო იაფი უჯდება, ვიდრე კველის“

ახალი 20 და 50-ლარიანი ბანკნოტები მიმოქცევაში გამოვიდა



ტებს ახასიათებს მკვეთრად გამორჩეული ფერების სპექტრი, რომელიც პარამონიულად არის შენარჩუნებული ძირითადი სიუქვების დამინანტურ და კონტრასტულ ფერებთან. განახლდა ლარის ბანკნოტის ზომებიც. გამოყენებულია ნომინალის მიხედვით ბანკნოტების ზომების დიაგნოსტური, სიმეტრიული ზრდის პრინციპი.

ბაბიენი

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, გიორგი ქაღაბიძის განცხადებით, ლარის ახალი ბანკნოტების ბეჭდვა, ვიდრე ძველი ნომინალის ბანკნოტების.

ამის შესახებ ქაღაბიძემ ჟურნალისტებს ეროვნული ბანკის საცავში განუცხადა, სადაც მედიის წარმომადგენლებს ლარის ახალი ბანკნოტები დაათვალიერებინა.

გუშინ, 1 თებერვალს, მიმოქცევაში გამოვიდა ახალი 20-ლარიანი და 50-ლარიანი ბანკნოტები, რამდენიმე თვეში გამოვა 100-ლარიანი ბანკნო-

ტები, ხოლო სავარაუდოდ, მომავალი წლის დასაწყისში – 10-ლარიანები.

– ახალი ბანკნოტები მიმოქცევაში იქნება ძველ ბანკნოტებთან ერთად და დროთა განმავლობაში ცვეთასთან ერთად ძველი ბანკნოტები ამოვა მიმოქცევიდან და მას სრულად ჩაანაცვლებს ახალი, – განმარტა გიორგი ქაღაბიძე.

ახალი ბანკნოტები არის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული როგორც დიზაინით, ასევე ტექნოლოგიურად. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მასზე დატანილია უსუსტი მხედველობის ადამიანებისთვის ამოსაცნობი ნიშნები.

ბულია დადებით მოლოდინებთან.

– ჩვენი ქვეყანა, ევროპული საზომით, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის ძალიან ღარიბი ქვეყანა. ჩვენი მოსახლეობის უმეტესობას ჯერ კიდევ არ აქვს ღირსეული ცხოვრების პირობები, მაგრამ მე მინდა გამოვიყენო ეს შესაძლებლობა და თითოეულ ჩვენს მოქალაქეს ვუსურვო მატერიალური კეთილდღეობა. ჩვენ ბევრი გამოწვევა გვაქვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ყველა გამოწვევას დაველევთ, – განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა.

ლარის განახლებულ ბანკნოტებზე შენარჩუნებულია კარგად ნაცნობი, ლარის ბანკნოტების თვადამირველი თემატიკა, ამავედროულად, ბანკნოტებზე წარმოდგენილი ისტორიები გამრავალფეროვნებულია ცალკეული ახალი ელემენტებით.

განახლებული დიზაინი საქართველოს მნიშვნელოვან კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობას კიდევ უფრო მეტი სიზუსტით და თანამედროვე იერსახით წარმოაჩენს.

ლარის განახლებულ ბანკნო-

სამკურნალო-დიანოსტიკური ცენტრი „ქალი“ მთავარობით მალაქაძის სახელი და სარეაბილიტაციო მკურნალობის მეთოდები

- 1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტოტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, ნევა-ტკივილი შარდვისას);
 - 2) პოტენციის დაქვეითება (რემონდული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
 - 3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
 - 4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ლივდის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ლივდისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
 - 5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).
- მოგესახურებიან მალაქაძის სახელი ცენტრი ექიმები. **კონსულტაცია უფასო!** ☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი). მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.



ნამახვანის პესების კასკადის პროექტზე შენეხლოების ნებართვა გაიყა

2016 წლის 26 იანვარს, ნამახვან პესების კასკადის პროექტზე გაიყა პირობიანი ნებართვა. მშენებლობის ნებართვის აღების შედეგად, პროექტში ინვესტირება გახდა უფრო მიზნობრივი და ნაკლებად რისიკიანი. პროექტის წინასწარი სავარაუდო ღირებულებაა 730.000 000 აშშ დოლარია.

პროექტი ხორციელდება წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მდ.რიონზე, ის ხელს უწყობს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ზრდას, მოსახლეობის დასაქმებას, შეიტანს წვლილს საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობაში და დამატებით წარმოქმნის 433 მგვტ ელექტროენერჯიას, რომელიც მთლიანად დარჩება საქართველოში.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსთან შეთანხმებით, 2015 წლის 24 დეკემბერს გამოცხადდა ინვესტორის შერჩევა პროექტის მფლობელის – სს „ნამახვანის“ აქციონერის, სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ მიერ.

დაინტერესებული ინვესტორები წინადადებებს წარმოადგენენ არაუგვიანეს 2016 წლის 7 აპრილისა. პროექტის განხორციელების მოდელად შერჩეულია – „მშენებლობა-ფლობა-ოპერირება“.

ინვესტორების კანდიდატები შეირჩევიან პროექტის განხორციელებისთვის საჭირო გამოცდილების და ფინანსური რესურსის შესაბამისად, ხოლო გამარჯვებულად გამოცხადდება ის ინვესტორი, რომლის მიერ საქართველოს მთავრობისათვის შეთავაზებული ტარიფი იქნება ყველაზე დაბალი.

გამარჯვებული ინვესტორი საქართველოს მთავრობასთან გააფორმებს იმპლემენტაციის ხელშეკრულებას, რის შედეგადაც, ის ვალდებული იქნება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ააშენოს და მართოს ნამახვანის ჰიდროელექტროსადგური.

სერტიფიცირებული კოსმეტოლოგი მოგიჩვენებს სახის კანის გამოწყობის უმეტესეულ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

- მკურნალობა: 1. სეზონურა; 2. გამაგრება; 3. დამწვრობა; 4. ჰაიმორიტი; 5. ფრონტიტი; 6. თმის ცვენა, თუნდაც ბუდობრივ; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტი, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იუოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრება; 14. გამაგრებულ ნაწმსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვსსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**
- მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები. მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.
- მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



მოქილავთა 11 მედალი

საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოქილავთა ეროვნული ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა 30-31 იანვარს სტამბოლში გამართულ ევროპის სახელმწიფო ჩემპიონატში. სახელმწიფო ჩემპიონატში მონაწილეობის საერთაშორისო ტურნირზე, სადაც 2 ოქროს, 5 ვერცხლის, 4 ბრინჯაოს მედალი და გუნდური მეორე ადგილი მოიპოვა.

ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ ლაშა გობაძე (80) და რობერტ კობლაშვილი (85). ვერცხლის მედლები მოიპოვეს რევაზ ლაშაძე (59), შმაგი ბოლქვაძე (71), მინდია ნულუაძე (75), თორნიკე ძამაშვილი (80)

და ბექა კანდელაკა (130). მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს და, შესაბამისად, ბრინჯაოს მედლები მფლობელები გახდნენ ბაკურ გოგოლი (71), მათე სოფაძე (85), გიორგი ცირეკიძე (85) და ნიკოლოზ კახელაშვილი (98).

საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს და თურქეთის ნაკრებებმა ერთნაირი შედეგი (70-70 ქულა) აჩვენეს, თუმცა უპირატესობა თურქეთის ნაკრებს მიეჩნება, რადგანაც ჩვენზე ერთი მეტი (3) ოქროს მედალი (3) მოიპოვა. მესამეზე ყაზახეთი გავიდა.

ფაჩულიას ორმაგ ღუბლაძე ქულა დააკლდა საკალათბურთო ლეგიონის ამბები



ზაზა ფაჩულიას სეზონის 22-ე ორმაგ ღუბლაძე მცირედი დააკლდა, თუმცა მისი შედეგიანობით დალასმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ტექსასურმა გუნდმა ფინიქს სანს უმასპინძლა და 91:78 დაამარცხა.

ფაჩულიას სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 36 წუთში 9 ქულა, 15 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. ზაზამ 7-დან 3 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. საუკეთესო შედეგი დალასელთაგან დერონ უილიამსმა დააფიქსირა, რომელმაც 27 ქულა მიითვალა. 15 ქულით დაასრულა შეხვედრა ჩენდლერ პერსონსმა.

დალას მავერიკსი დასავლეთ კონფერენციაში მე-6 ადგილზე იმყოფება. მიმდინარე სეზონის 50 მატჩიდან ფაჩულიას გუნდმა 28 მოიგო. მომდევნო შეხვედრას ტექსასელი ჯორჯიის შტატში გამართავენ, სადაც 2 თებერვალს ზაზა ფაჩულიას ყოფილ კლუბ ატლანტას დაუპირისპირდებიან.

თორნიკე შენგელიას თავმოწმონე გუნდმა კი მოულოდნელი მარცხი იწვნია. ევროლიგაში ზედიზედ ორი გრანდის დამარცხების შემდეგ ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ მატჩში ლაბორალ კუჩა სტუმრად მურსიას შეხვდა და დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა – 66:68.

ქართველი ფორვარდი დამარცხებულთაგან საუკეთესო იყო. სასტარტო ხუთეულში მყოფმა შენგელიამ მოედანზე არასრული 20 წუთი გაატარა და თავი 10 ქულას, 8 მოხსნას და 1 დაფარებას მოუყარა.

14 მოგებითა და 4 მარცხით ლაბორალ კუჩა ესპანეთის ჩემპიონატში მე-4 ადგილზეა. მომდევნო მატჩი ვიტორიულეს ლიდერ ვალენსიასთან, 7 თებერვალს ელით.

გიორგი შერმადინის გუნდმა ესპანეთის ჩემპიონატში მორიგი გამარჯვება მოიპოვა. მორაბაზე ანდორამ სარაგოსას უმასპინძლა და 91:81 დაამარცხა. შერმადინისთვის სარაგოსა უცხო გუნდი არაა. ამ კლუბში ქართველი ცენტრი 3 წლის წინ ვიქტორ სანიკიძესთან ერთად თამაშობდა.

შერმადინის სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 23 წუთში 14 ქულა, 3 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიითვალა. ქართველმა კალათბურთელმა 8-დან 5 ორქულიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო.

ანდორა 9 მოგებითა და ამდენივე მარცხით ცხრილში მე-8 ადგილზეა. თურქეთის ჩემპიონატში ვიქტორ სანიკიძეს გუნდმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია ლიდერ ფენერბაჩეს და საბაყო გამარჯვებამდე მცირედი დააკლდა. გუნდი, რომელიც ევროლიგის ტოპ-16-ში დაუმარცხებლად ლიდერობს, კინალამ თედ კოლევლორთან შერცხვა. სანიკიძის გუნდმა ანკარაში გამართული შეხვედრა სტამბოლურ გრანდთან 70:71 დათმო.

სანიკიძემ მოედანზე 34 წუთი დაჰყო და მხოლოდ 2 ქულა ჩააგდო. ამ მატჩში ჩვენებურს მიზანმა უმტყუნა – ვიქტორმა 6-დან 1 ორქულიანი ჩააგდო, 2 სამქულიანი ააცილა, აქტივში კი 10 მოხსნა, 2 პასი და 2 დაფარება ჰქონდა. ანკარულ გუნდს 7 მოგება და 9 მარცხი მოუგროვდა და 16-გუნდიან ლიგაში მე-10 ადგილზე ჩაინაცვლა.

თედ კოლევლორს მორიგი მატჩი 7 თებერვალს, სტუმრად უშკატან ელის. როგორც იქნა, გამოჩნდა მანუჩარ მარკოვიშვილის შედეგიანი თამაში დარუშაფაკაში. თურქეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში სტამბოლელებმა გაზიანთვეს უმასპინძლეს და ანკარაში 90:65 სძლიეს, რაშიც ლომის წილი ქართველმა უკანასაზღვოდ დაიღო.

მარკოვიშვილმა მოედანზე მხოლოდ 15 წუთი დაჰყო, რის განმავლობაშიც 12 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. მანუჩარმა 4-დან 1 ორქულიანი, 3-ვე სამქულიანი და 1 საჯარიმო ჩააგდო.

10 მოგებითა და 6 ნაგებით დარუშაფაკა თურქეთის სუპერლიგაში მე-5 ადგილზეა.

ნიკა მეტრეველმა ახალი კლუბის მაისურით იტალიის სერია ა-ში მორიგი გამარჯვება იხემა. მისმა პასტა რეჯია კაზერტამ ვანოლის უმასპინძლა და 73:64 დაამარცხა. ქართველი ფორვარდი მოედანზე 16 წუთით გამოჩნდა, რის განმავლობაშიც 2 ქულა, 1 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა.

8 მოგებითა და 10 მარცხით კაზერტა სერია ა-ს ცხრილში მე-9 ადგილზეა. მომდევნო ტურის მატჩს მეტრეველის გუნდი 14 თებერვალს შინ ბოლონისთან გამართავს.

ალპარო მორაბა: ნარსულში არ ვინადაბი

დასაწყისი მე-12 გვერდზე

– მთავარი იყო შეხვედრის კარგად დაწყება და საბოლოო ჯამში ყველაფერმა მშვენივრად ჩაიარა.

– თამაშისგან დიდ სიამოვნებას იღებთ.

– დიას, რადგანაც მეორე ტაიმში ზუსტად იმ თამაშის დემონსტრირება ცვადავით, რომელსაც სანკრთელ ბაზაზე აქტიურად ვამუშავებთ. როგორც ხედავთ, დღეისათვის საუკეთესოთა შორის ვიმყოფებით.

– კომპარი დასრულებულია?

– ნარსულში არ ვიხედებო. ოთხშაბათს სხვა მატჩი გველის, ხოლო კვირას – კიდევ სხვა. ჩემი ხედავა და ფიქრები, მხოლოდ მომავალს ეხება. გუნდი კარგ ფორმაში იმყოფება და საჭიროა ადგილი გავის შენარჩუნება.

– შენც კარგ ფორმაში ხარ.

– დიას და ფიზიკური კუთხითაც. როდესაც თავი ზედმეტი ფიქრებით არ არის გამოტენილი, მაშინ სხეულიც სათანადოდ დონეზე იმყოფება და ადვილად გემორჩილება. ძალიან ბედნიერი ვარ ამ გუნდში ყოფნით.

პაპუნაშვილი ეპროვის ღია ჩემპიონატის გამარჯვებულია

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში დასრულდა ბულგარეთის ეპროვის ღია პირველობა, სადაც მონაწილეობა 28 ქართველმა ბულგარეთის მიიღო და მხოლოდ სამ მედალს გამოვრჩით. სამივე მედალი სხვადასხვა სინჯის ადგილობრივმა მოხსნა.

81 კილოში გიორგი პაპუნაშვილმა ყველა ორთაბრძოლა მოიგო და ოქროს მედალი მოიპოვა. ქართველმა ფალანგმა გადამწყვეტ ორთაბრძოლაში გერმანელი დომინიკ რასელი ვაზარით დაამარცხა და უმაღლეს ტიტულთან ერთად, 100 სარეიტინგო ქულაც გაინაღდა.

73 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოქიდავე გიორგი კაციაშვილი ვერცხლს დაეუფლა და 60 სარეიტინგო ქულაც მოიპოვა.

გადამწყვეტ შეხვედრაში ის რუსეთის ნაკრების წევრ სიან ონდარს ვაზარით უგებდა და უპირატესობა ვერ შეინარჩუნა.

ბულგარულ პოდიუმზე 100 კილოგრამში მოქიდავე ლაშა ტაველურიც ავიდა. ჩვენებური ნახევარფინალში მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონთან, ბრაზილიელ ლუჩიანო კორეასთან შეტოვება მოჰყვა და რეპეშაჟის ფინალში გადართო, სადაც 48 წამში ბუქტზე დასვა ბრიტანელი ფილიპ ავიტილაკარაზი და ბრინჯაოს მედალთან ერთად 40 სარეიტინგო ქულაც მიიღო.

60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ივანე ჯავახიშვილი, ილია შუბითიძე, ნიკა ჭიკიძე და ირაკლი კაპანაძე ჩაბნენ, მაგრამ მეოთხედფინალამდე დამარცხდნენ და სამივე სინჯის მედლისთვის ბრძოლის გაგრძელების შანსი უშალ დაკარგეს.

შანსი იყო 66 კილოგრამში, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. ბექა შავდათუაშვილი, მინდია ლილუაშვილი, გელა კელიაშვილი და ლაშა გიუნაშვილი მეოთხედფინალამდე კი მივიდნენ, მაგრამ ნახევარფინალის საგზური კი ვერც ერთმა ვერ მოიპოვა. თუმცა, ოთხივე რეპეშაჟის ნახევარ-



ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდა, სადაც შავდათუაშვილმა ლილუაშვილს მოუგო, კელიაშვილმა – გიუნაშვილს. ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში კი ორივე დამარცხდა და ტურნირზე გამოსვლა მე-5 ადგილით და 20 ქულით დაასრულეს.

73 კილოგრამში საქართველოს დროში ქვეშ ბულგარულ ტატამზე ანზორ ხშიადაშვილი, ზვიად კაპანაძე და ფრიდონ გიგანიც გავიდნენ. ხშიადაშვილი და კაპანაძე სანჯის ეტაპზე დამარცხდნენ. გიგანმა კი ძირითად ბადეში გამოსვლა მეოთხედფინალით დაასრულა და რეპეშაჟში გადართო, მაგრამ იქვე დასრულა ასპარეზობა და საბოლოოდ მე-7 ადგილს და 16 სარეიტინგო ქულას დასჯერდა.

81 კილოგრამში ანზორ ბიბილაშვილი, კობა მჭედლიშვილი და ზებედა რევიიაშვილიც ჭიდაობდნენ, მაგრამ ტურნირის ნაადრევად გამოეთიშნენ.

ბრინჯაოს მოპოვების შანსი ჰქონდა მძიმეწონისან გიორგი ლაშუაშვილსაც, მაგრამ ბელარუს ალექსანდ ვახა-ვიაკთან იუკოთი დამარცხდა. ის მე-5 ადგილს და 20 ქულას დასჯერდა.

ჯოკოვიჩმა ავსტრალია მეექვსედ მოიგო და რიი ეპერსონს გაუთანაბრდა



მელბურნში დასრულდა ავსტრალიის ღია პირველობის გათამაშება. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა და ტურნირის მოქმედმა ჩემპიონმა

სერბმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა, ბრიტანელი ნენდი მარეი 6:1, 7:5, 7:6 დაამარცხა და ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა.

ბრძოლა არ შედგა, სერბმა მეტოქე ფაქტობრივად ყველა კომპონენტში დაწაგრა და ჩემპიონის ტიტული დამსახურებულად დაისაკუთრა. მარეი პირველი სეტი ულაპარაკოდ წააგო, მეორე სეტში თითქოს თამაშში დაბრუნება მოახერხა, მაგრამ გადამწყვეტ ეპიზოდებში ხან თვითონ ცდებოდა, ხანაც ჯოკოვიჩი იყო მოწოდების სიმაღლეზე.

სერბმა მეტოქე, წმინდა სათამაშო კომპონენტების გარდა, ფსიქოლოგიური კუთხითაც დაწაგრა – ბრი-

ტანელი მთელი თამაში ემოციებს ვერ თოკავდა და მუდმივად საკუთარ თავს ეწეებოდა.

ასე მოიპოვა ნოვაკ ჯოკოვიჩმა კარიერაში დიდი სლეიმის მე-11 ტიტული. ამ მაჩვენებლით ის გაუთანაბრდა ავსტრალიელ როდ ლივერსსა და შვედ ბორნ ბორგს. სერბზე წინ არიან: ავსტრალიელი როი ემერსონი (12), ესპანელი რაფაელ ნადალი (14), ამერიკელი პიტ სამპრასი (14) და შვეიცარიელი როჯერ ფედერერი (17).

გარდა ამისა, ავსტრალიის ღია პირველობის მეექვსედ მოგებით, სერბი გვერდით დაუდგა აქამდე აბსოლუტურ რეკორდსმენს რიი ეპერსონს.

შედეგები

31 იანვარი	
ფაჩულიას ორმაგ ღუბლაძე	
ახიყის ეთა თასი. პეი ოთი	
ტურნირი-მალე	1:2
ზაბიბა-გვინეა	0:0(4:53)
ესპანეთი. შიშეხა ცივიზონი	
სევილია-ლევანტე	3:1
ვალენსია-ბისონი	0:1
ლას პალმასი-სელტა	2:1
რეალი-ესპანოლი	6:0

საკუჩნიხი ცხილი:	
1.პარსელონი	21 16 3 2 54-17 51
2.ატლანტიკო	22 15 3 4 31-10 48
3.რეალი	22 14 5 3 64-20 47
4.ვილარეალი	22 13 5 4 29-18 44
5.სევილია	22 10 6 6 31-23 36
6.ბილბაო	22 10 4 8 33-30 34
7.სელტა	22 10 4 8 33-35 34
8.ვიარია	22 9 6 7 35-28 33
9.დეპორტივო	21 6 11 4 28-25 29
10.ლაგა	22 7 6 9 18-20 27
11.სეტიფე	22 7 5 10 26-32 26
12.ვალენსია	22 5 10 7 26-23 25
13.სოსიედადი	22 6 6 10 26-34 24
14.ბეტისი	22 5 7 10 15-31 22
15.ესპანოლი	22 6 4 12 20-41 22
16.ლას პალმასი	22 5 6 11 23-34 21
17.ბიზონი	21 6 3 12 23-35 21
18.გრანადა	22 5 5 12 24-44 20
19.რიაი	21 5 4 12 26-45 19
20.ლევანტე	22 4 5 13 21-41 17

ესპანეთი. სევენა ცივიზონი	
ალმერია-სარაგოსა	2:1
ბილბაო ბუელე	0:1
ხიმნასტიკი-ტენერიფე	2:1
ნუმანსია-ბირონა	1:1
პონფერადინა-მალიორკა	0:2
მირანდესი-ოსასუნა	4:0
გეჩინია. ბუნდესლიგა	
ვოლფსბურგი-კიოლნი	1:1
ბაიერნი-ჰოფენჰაიმი	2:0

იტალია. სეჩია ა	
კიევი-ო-უვენტუსი	0:4
ნაპოლი-უმპოლი	5:1
ჯენოა-ფიორენტინა	0:0
ტორინო-ვერონა	0:0
უდინეზე-ლაციო	0:0
ბოლონია-სამპდორია	3:2
მილანი-ინტერი	3:0

საკუჩნიხი ცხილი:	
1.საპოლი	22 15 5 2 50-19 50
2.იუვენტუსი	22 15 3 4 42-15 48
3.ფიორენტინა	22 13 6 3 39-21 42
4.ინტერი	22 12 5 5 26-17 41
5.რომა	22 10 8 4 40-25 38
6.სიონი	22 10 6 6 32-25 36
7.სასუოლო	22 8 9 5 26-24 33
8.ლაციო	22 9 5 8 29-30 32
9.ემპოლი	22 9 5 8 28-31 32
10.პალერმო	22 9 2 11 27-29 29
11.ტორინო	22 7 6 9 27-28 27
12.კიევი	22 7 6 9 27-30 27
13.ატალანტა	22 7 6 9 22-25 27
14.პარემა	22 7 4 11 24-35 25
15.უდინეზე	22 7 4 11 19-35 25
16.ჯენოა	22 6 6 10 24-27 24
17.სამპდორია	22 6 5 11 33-39 23
18.კარპი	22 4 7 11 21-37 19
19.ფორინონე	22 4 4 14 23-48 16
20.ვერონა	22 0 11 11 14-33 11

იტალია. სეჩია ბ	
ენტელა-ნოვარა	1:0
საფანტო. 1 ლიგა	
კანე-ნიცა	2:0
ბორდო-რენი	4:0
სტ.ეტენი-პსუ	0:2
საკუჩნიხი ცხილი:	
1.პსუ	23 20 3 0 58-10 63
2.ბონაპო	23 10 9 4 33-28 39
3.ანკონე	23 10 7 6 24-18 37
4.ფიგა	23 10 6 7 37-28 36
5.კანე	23 11 3 9 26-28 36
6.რენი	23 8 10 5 32-29 34

7.ბორდო	23 8 9 6 31-30 33
8.სტ.ეტენი	23 10 3 10 25-27 33
9.ანკონე	23 8 8 7 21-22 32
10.მარსელი	23 7 10 6 33-24 31
11.ლონი	23 8 6 9 28-27 30
12.ლორიანი	23 7 9 7 32-32 30
13.პასტა	23 8 4 11 22-27 28
14.გენოა	23 7 6 10 22-30 27
15.ლოლი	23 5 11 7 18-19 26
16.გაზულევი	23 6 8 9 24-31 26
17.მონპელიე	23 7 4 12 27-29 25
18.რიმისი	23 5 8 10 23-32 23
19.ტელუზა	23 4 8 11 25-41 20
20.ტრა	23 1 8 14 16-45 11

ჰოლანდია. ეივიზონი	
როდა-აიპსი	2:2
კამბური-პერენენი	0:1
ფენოროდი-დენ ჰააგი	0:2
ტვენტე-უტრეხტი	3:1

პოჰუტალია. შიშეხა ლიგა	
აროუკა-ფორეირა	2:2
ნასიონალი-ტონდელა	3:1
რიუ ავე-სეტუბალი	2:1
ბოავიშტა-ბარაგა	0:0
მორეირენსე-ბენფიკა	1:4

შოტლანდია. ლიგის თასი	
როსი-სელტიკი	3:1
ბელგია. შიშეხა	
ოსტენდე-მუსკრონი	3:3
ბრიუგელ-ლოკერენი	2:1
გენტი-ვასლანდი	2:1

საბეჩინეთი. სუპერლიგა	
ავეი-ვერია	3:0
ასტრასი-ლევადიაკოსი	2:0
პლატანი-პანათინაიკოსი	2:3
ქსანთი-ირაკლისი	2:0
იანინა-ოლიმპიაკოსი	0:3

შედეგები მისედი უორულთან

მამაკახაშვილის გაჯანსაღების სენტი

სექსობრივი უძლეობა, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზე!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უხელო შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმეორება ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე კომპლექსებისა და ნარკო-მანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, ავიატების, აგრესიულობის, ტენიში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განმეორება, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება – დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება – 0.

მის: მებრო „დიდუბე“, სამთო ძიბის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიაში



სექსუალური ვეტერინარი ახალ ინტერნეტ-სენსაციად იქცა



ამერიკელი სექსუალური ვეტერინარი ევან ანტონი ახალ ინტერნეტ სენსაციად იქცა. ინსტაგრამში მის გვერდს უკვე თითქმის 120 ათასი ხელისმომწერი ჰყავს.

ანტონი კალიფორნიის შტატის ქალაქ ტაუზენდ-ოუუსის ერთ-ერთ ვეტერინარულ საავადმყოფოში მუშაობს. ექიმი ცნობადი სახე საკუთარი ფოტოსურათების წყალობით გახდა, რომლებიც თავის პაციენტებთან ერთად აქვს გადაღებული. ესენი არიან ძაღლები, კატები, კუები, მაიმუნები, ბუები, თუთიყუშები და ფაუნის სხვა წარმომადგენლები.

ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა წერს, რომ ვეტექიმი ისეთივე საყვარელია, როგორც მისი პაციენტები არიან. ერთ-ერთ ინტერვიუში ანტონმა განაცხადა, რომ „კავშირი ცხოველებსა და ადამიანებს შორის ერთ-ერთი ყველაზე განსაკუთრებული რამ არის ამ პლანეტაზე“.

„მუდმივად უკმაყოფილო“ კატამ ინტერნეტი დაიპყრო



კატამ, სახელად ბამბა, რომელსაც „მუდმივად უკმაყოფილო“ გამომეტყველება აქვს, ინტერნეტი დაიპყრო. მისი ცხოვრებისთვის თვალის დევნება ინსტაგრამში მის გვერდზე შესაძლებელია.

გასულ წელს ბამბი სან-დიეგოს მაველ-თა საზოგადოებას გადასცეს. თანამშრომლებმა მაშინვე შენიშნეს, რომ კატა მრავალი მისი თანამომისგან განსხვავდებოდა ელამი თვალებითა და გამომეტყველებით, რომელიც უკმაყოფილებას გამოხატავდა.

კატა საზოგადოების თანამშრომელმა კორტინი მორმანმა წაიყვანა, რომელმაც განაცხადა, რომ: „ის სრულ წერტილზეა, ვეტერინარმა ნახა და ყველაფერი კარგადაა“. ნორმანის აზრით, კატას შესანიშნავი მხედველობა აქვს, მას ხოჭოლებზე ნადირობა და სათამაშოების დევნა უყვარს.

– მაშინვე შემიყვარდა. როდესაც პირველად ვნახე, ვიფიქრე, რომ ის ყველაზე საყვარელი ფისუნია ამ ქვეყანაზე და მისი ხასიათი სრულიად ემთხვევა მის სულელურ გამომეტყველებას, – აღნიშნა ბამბის პატრონმა.

ავსტრალიელმა ქალმა ორ წუთში ხუთი ბავშვი გააჩინა



ავსტრალიის ქალაქ პერტი ქალმა ორ წუთში ხუთი ბავშვი გააჩინა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი პრესა ავრცელებს.

კიმ ტუჩის უკვე ჰყავს სამი შვილი – ორი გოგონა და ერთი ბიჭი. მას და მის მეუღლეს სურდათ, რომ მათ ოჯახს კიდევ ერთი ბავშვი – ბიჭი შეემატებოდა. ფეხმძიმობის დროს კი მათ ექიმებმა აცნობეს, რომ ტყუპები ეყოლებოდათ, მხოლოდ ორი ტყუპისცალი.

– ძალიან გამიხარდა, რომ ტყუპები მეყოლებოდა, ძალიან გახარებული ვიყავი, მაგრამ ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ ასეთი რამ მოხდებოდა, – განაცხადა ტუჩი.

ის, რომ ოჯახს ხუთი ბავშვი შეემატებოდა, მშობიარობამდე ბოლო სამედიცინო შემოწმების დროს განადაცნობილი. ქალმა განმეორებით გამოკვლევა მოითხოვა, რათა უფრო „კარგად შეეთავლიერებინა ტყუპები“, თუმცა მას ექიმმა აცნობა, რომ ხუთ ტყუპ ბავშვს გააჩნდა.

ტუჩის თქმით, ერთადერთი, რაც ამის პასუხად გააკეთა, სიცილი დაიწყო.

ნაგაზ კვაზიმოდოს ფეისბუქში საკუთარი გვერდი აქვს



გერმანულ ნაგაზ კვაზიმოდოს ფეისბუქში ფანებისთვის გვერდი აქვს გახსნილი. ძალის მოკლე ხერხემლის სინდრომი აქვს, თუმცა მას ეს ხელს სულაც არ უშლის, „პატარა ბედნიერ ძაღლად“ ითვლებოდა.

ამჟამად ხუთი წლის კვაზიმოდო მინესოტაში ორგანიზაცია სექსონდჰენდ პაუსში ცხოვრობს. იქ ამტკიცებენ, რომ მთელ მსოფლიოში მხოლოდ 13 ძაღლია ამ სინდრომით დაავადებული.

ადგილობრივი პრესის ცნობით, შესაძლოა, ეს ძაღლი სხვებს არ ჰგავს, მაგრამ, როგორც ჩანს, მას მაინცდამაინც არ აწუხებს ეს მისი სინდრომი.

კვაზიმოდო ჯერ მზად არ არის ახალ ბინაში საცხოვრებლად გადასასვლელად. მისი ცხოვრებისთვის თვალის დევნება კი სოციალური ქსელისთვის შესაძლებელია. ორგანიზაცია კი მისთვის მუდმივ საცხოვრებელს უკვე ეძებს.

გორილას მეზობელმა ტორტი მოპარა



ფილადელფიის ზოოპარკმა საზეიმო საღამო მოუწყო მის ბინადარ მამრობითი სქესის გორილას, სახელად მოტუმბას მისი დაბადების დღის აღსანიშნავად.

ამერიკული ზოოპარკის ბინადარი შაბათს 31 წლის შესრულდა, თუმცა საზეიმო ღონისძიება ორშაბათს გაუმართეს. გორილას დაბადების დღესთან დაკავშირებით შესრულდა სიმღერები, მიართვეს საჭურჭელი და ტორტი, რომელიც მისი საყვარელი პროდუქტებისგან იყო მომზადებული (მათ შორის იოგურტისა და ნუშისგან).

თუმცა მუტუმბამ ნუგბარის დაგემოვნება ვერ მოახერხა, ვინაიდან ერთ-ერთმა მისმა მეზობელმა ტორტი მოიპარა და მთლიანად შესასწავლა. მოტუმბა ფილადელფიის ზოოპარკში 2014 წელს გადმოიყვანეს ნებრასკადან. მეცნიერები

მიიჩნევენ, რომ გორილებს შეუძლიათ 50 წლამდე იცხოვრონ, თუმცა ჩვეულებრივ მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა 34 წელს შეადგენს. გორილები გადაშენების პირას მყოფ სახეობად ითვლებიან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საირსი ზილანი რეალის თამაშით კმაყოფილია



მადრიდის რეალმა კვირას საკუთარ მოედანზე ესპანოლი მიიღო და გაანადგურა ანგარიშით 6:0.

კრიშტიანო რონალდუმი წლევეანდელ სეზონში პირველი პეტრიქი შესარულა და ამით თავისი მწვერთელი ზინედი ზიდანი ძალიან გაახარა.

მატჩის შემდეგ ზილანი არ მალავდა ემოციებს. მისი თქმით, რეალი ოპტიმალურ ფორმას უახლოვდება.

– დღევანდელი თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ. არ მინდა რომელიმე ფეხბურთელი გამოვარჩიო, რადგან მთელმა გუნდმა შესანიშნავად ითამაშა და ანგარიში ყველაფერზე მეტყველებს. ჩვენ იმდენად მიჩვეულები ვართ კრიშტიანოს გოლებს, რომ თუ ის პეტრიქს ვერ აკეთებს, მას მაშინვე აკრიტიკებენ. ესპანოლიდან რონალდუმ ყველას შეახსენა თავისი შესაძლებლობები, – განაცხადა ზილანმა.

მიუხედავად ასეთი შთაბეჭდილებებისა, რეალი მხოლოდ მესამე ადგილზეა სატურნირო ცხრილში და ლიდერ ბარსელონას 4 ქულით ჩამორჩება, თან კატალონიურ გუნდს ერთი შეხვედრით ნაკლები აქვს ჩატარებული და იმ თამაშის მოგების შემთხვევაში რეალს 7 ქულით გასწრებს.

მარიო მანჯუკიჩი იუვენუსს 1 თვე ვერ დაეხმარება




ტურინის იუვენუსის ამჟამად შესანიშნავ ფორმაშია და მასიმილიანო ალევრის გუნდმა იტალიის ჩემპიონატში ზედიზედ 12 შეხვედრა მოიგო.

მიუხედავად ამისა, გუნდში მაინც არის უსიამოვნო ამბები, კერძოდ კი მარიო მანჯუკიჩის ტრავმა, რომელიც 1 თვე ვერ შეძლებს მოედანზე გამოვლას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მანჯუკიჩი გამოტოვებს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ შეხვედრას თავისი ყოფილი გუნდის ბაიერნის წინააღმდეგ, რომელიც ტურინში 23 თებერვალს გაიმართება.

მარიო რამდენიმე წელიწადი თამაშობდა ბაიერნში, მაგრამ გვარდიოლას მოსვლის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და ამჟამად ის იუვენუსა, სადაც წლევეანდელ სეზონში 8 გოლის გატანა შეძლო.

გვარდიოლა მანჩესტერ სიტის განმარტონს



მანჩესტერ სიტიმ ოფიციალურად დაადასტურა, რომ მომავალი სეზონიდან ამ გუნდს ესპანელი სპეციალისტი პეპ გვარდიოლა განმარტონს. კლუბის განცხადებაში ნათქვამია, რომ ისინი მადლობას უხდიან მანუელ პლეგერინის განუვლი სამუშაოს გამო და მას ყველაფერს კარგს უსურვებენ მომავალში. გვარდიოლამ დეკემბერში განაცხადა, რომ მომავალი სეზონიდან ინგლისში მიდიოდა სამუშაოდ, მაგრამ რომელ გუნდს აირჩევდა, აქამდე უცნობი იყო.

მანჩესტერ სიტიმ გვარდიოლასთან კონტრაქტი სამი წლით გააფორმა. რაც უნებუნებარეა სოსის ამჟამინდელ კლუბს, მიუნხენის ბაიერნს, მომავალი წლიდან მას კარლო ანჩელოტი უხელმძღვანელებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტრონომოზი 2 თებერვლისათვის



პარკი – ნურაფრის გემინიათ, დღეს ძლიერი ხარო, როგორც არასდროს. გარს მხოლოდ სანდო ადამიანები შემოიკრიბებთ.

პარკი – დათრგუნეთ სიჯიუტე, რაც ძალიან გიშლით ხელს ცხოვრებაში. საღამოს სასიხარულო ინფორმაციას მიიღებთ.

გაუპაპი – ყველა არასაჭირო კონტაქტისგან თავი შეიკავეთ. მთლიანობაში, რთული დღეა. იღუბლებს ნუ აპყვებთ.

პარკი – კრიტიკული დღეა. სავარაუდოდ, მოვლენები ისე განვითარდება, რომ გამოსავლის მოძებნა საკმაოდ გაგიჭირდებათ, თუმცა ეს დროებითია.

ღმინი – წინააღმდეგობრივი, რთული დღეა, შესაძლოა, გარკვეულ კომპრომისზე წასვლა მოგიხდეთ. ფულს იოლად ნუ დახარჯავთ.

პარკი – გელით კარიერული წინსვლა. ეს დღე შემოქმედებითი პოტენციალის ამაღლებით გამოირჩევა.

სანსორი – არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთ არანაირი შემოთავაზება. დიდია რისკის ალბათობა. ნურავის მიენდობით, შესაძლოა, მოგატყუონ.

ღმინი – პარკი – სეროზული დღეა, რომელიც უკავშირდება ფასეულობების გადაფასებას, სულიერების სრულყოფას, ასევე მიღებულ ინფორმაციის საფუძვლიანად გადამოწმებას.

თავსაპი – ვარსკვლავები გირჩევენ, აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება ჯანმრთელობას. იკვებეთ სწორად. პროდუქტების ყიდვისას უპირატესობა მიანიჭეთ ხარისხს და არა რაოდენობას.

გისუხებთ ბენიხ დღეს!

ახოსვოხი ბ

შეუღალა: 1. ავტოდრომი საფრანგეთში; 2. უდიდესი ნეტარება ბუდისტური მოძღვრების მიხედვით; 3. დიდი ქალაქების, სამრეწველო ცენტრების ცაზე დაგროვილი შავი, სქელი ნისლი; 4. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 5. ინგლისელი ქართველოლოგი „ფეხისტყაოსნის“ პროზაულად მთარგმნელი; 6. სამეფო საგვარეულო; 7. რაჭაში გაერცვლებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიშები; 8. თეთრი ბოჭკოვანი მინერალი, ცეცხლგამძლე-საიზოლაციო მასალა; 9. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 10. ქვის ხავსი; 11. კერძო მენარმე სოფლად; 12. მთავარი მოედანი მილანში.

თარაზულა: 6. გულის მუშაობის გრაფიკული გამოსახულება; 7. ეკიპაჟის საცხოვრებელი სათავსო გემზე; 8. პოლიგულის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 9. ძველებური სავაჭრო, სასაუზმე; 10. კომპიუტერულ ტექნიკაში გამოყენებული ინფორმაციის რაოდენობის ერთეული; 11. ხელოვნური მიკროკლიმატის მქონე აპარატი, რომელშიც ათავსებენ დღენაკულ ჩვილ ბავშვს; 12. ქართული ხალხური თამაში ბურთით; 13. ბალჩიური ხილი; 14. კუთხე საქართველოში; 15. სქელი, ტყავისებრი ფოთლების მქონე, ოთახის, მარადმწვანე, დეკორატიული მცენარე; 16. გერმანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 17. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა

1	2	3	4	5
6			7	
		8		
9				10
		11	12	
		13		
14			15	
		16		
17				
18				19
				20
	21			
	22			
23			24	

წინა ნომეხი გამოქვეყნებული ახოსვოხების პასუხები:

პროსოპოდის პასუხები:
თარაზულა: 1. კვარტი; 2. კენგურუ; 3. პრაიდი; 4. ტარიფი; 5. აბზინდა; 6. კალციუმი; 7. ანგარი; 8. თრომბი; 9. მერი; 10. ანოქსემია; 11. ლიპარიტი.
შეუღალა: 1. კიბე; 2. თვალი; 3. კვირტი; 4. ემალი; 5. რეკვიემი; 6. კაბრიოლეტი; 7. ადენიტი; 8. კარმენი; 9. ბოლერო; 10. ტირანი; 11. პრიმა.

სანსორის პასუხები:
1. იარა; 2. მარკა; 3. მესობოტამია; 4. რა; 5. ტანგო; 6. ემე; 7. არაკი; 8. ქამა; 9. სექტორი; 10. რადა; 11. პრემიერა; 12. ილი; 13. ანისტია; 14. ალაო; 15. მალამო; 16. ატაშე; 17. ტანკი; 18. აერობიკა; 19. მასნე; 20. ალალია; 21. ასო; 22. ერიკ; 23. სეტი; 24. რიტორიკა; 25. აკინაკი; 26. პადუა; 27. პიანო; 28. ოდა; 29. ლისაბონი; 30. სალაკა; 31. ომარ; 32. ბილონი.
სურათებზე: კიმ კეტროლი; რუი კოშტა.

ახალი თობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhaliatoba

ქართული ლარის ვივარტო უხსოვარი ვალუტების გახვლითი კურსი

2 თებერვლისთვის



აშშ დოლარი — 2.4719



ევრო — 2.6991



ინგლისური გირვანკა სტერლინგი — 3.5338



100 რუსული რუბლი — 3.2488



ამინის ჰიგნოზი 2 თებერვლისთვის

თაკო ნაცვლიშვილი არმანის სახე



17 წლის ქართველი მოდელისთვის ეს წელი წარმატებულად დაიწყო. თაკო ოფიციალურად მიიწვიეს პარიზის მაღალი მოდის კვირეულზე. ქართველმა ლამაზმანმა მოდის კვირეულში მონაწილე სხვა მოდელებთან ერთად მსოფლიოში ცნობილი ორი ბრენდის კოლექციიდან კოსტიუმები წარმოადგინა.

პარიზის მოდის კვირეულში მონაწილეობის პარალელურად, თაკო მსოფლიოში ცნობილი ბრენდის არმანის სახეც გახდა.

ინფორმაცია არმანის ოფიციალურ გვერდზე გავრცელდა. 17 წლის ლამაზმანმა მონაწილეობა მიიღო ბრენდის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციის კატალოგის ფოტოსესიაში. ფოტოები ნებისმიერი მსოფლიოსთვის არმანის ოფიციალურ გვერდზე ხელმისაწვდომი.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც თაკო ნაცვლიშვილი იტალიურ ბრენდთან თანამშრომლობს. მათი ტანდემი პირველად გასულ წელს შედგა, როდესაც 16 წლის ქართველმა არმანის კაპსულე კოლექციას გაუწია რეკლამა. გადაღებები იტალიაში მიმდინარეობდა.

როდესაც გასული წლის დასაწყისში თაკო ნაცვლიშვილი ჯორჯო არმანიმ ჩვენების კულისებში პირველად იხილა, მიუხელოვდა, დააკვირდა და თქვა: დიდებული სახე.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

2 თებერვლიდან

გაზეთ „ახალ თობასთან“ ერთად

„ბიტლზი დღიდან დღემდე“


„ბიტლზი“ ყველა დროის უდიდეს პოპგუნად ითვლება.

ოთხმა ლიდერულმა ახალგაზრდამ ერთხელ და სამუდამოდ შეცვალა პოპმუსიკის სახე. მათ შექმნეს თეველი თაობა და მსოფლიოს ყველა კუთხეში მილიონობით ადამიანის ცხოვრებაში შეაბიჯეს.

„ბიტლზი დღიდან დღემდე“ ასახავს ჯგუნფის განუმეორებელ მიღწევებსა და თანამედროვე კულტურაში შეტანილ წვლილს.

მაგარ ყდაში ჩასმული და ცარცის ქაღალდზე დაბეჭდილი ნიგნი დასურათებულია ჯგუნფის ნაკლებად ცნობილი ფოტოებით. მას ახლავს ჩანარები, რომლებიც „ბიტლზის“ გარემოცვის, მათი დროისა და იმ ხელოვანთა შესახებ მოგვითხრობს, გავლენა რომ იქონიეს ჯგუნფზე.

ტერი ბაროუზი 50-ზე მეტი ნიგნის ავტორია. მისი ნაწარმოებები 7 ენაზე ითარგმნა და 10-ზე მეტ ქვეყანაში დაიბეჭდა.



ფასი გაზეთთან ერთად 17 ლარი

აქაშიონა აქს ბოთლ ღვინო 17.6 ათასი დოლარი გაღიხადს



ფრანგული ღვინო პეტრუსი, რომელიც 1982 წლის მოსავლისგანაა დაზადებული, სა სოტის აუქციონზე იქნა გასაყიდად გამოტანილი და თითქმის 3 ათას დოლარად იქნა შეფასებული.

ექვსი ბოთლი პეტრუსი საფრანგეთის ბორდოს რეგიონიდან, ლონდონში სოტის აუქციონზე 12,338 ათას ფუნტ სტერლინგად (17,6 ათასი დოლარი) გაიყიდა.

ფრანგული ღვინო აზიელმა შეიძინა, რომლის ვინაობა უცნობი დარჩა.

ბრიუსელის რესტორანს ნარჩენების კარგი გამოჩენდა

ბრიუსელის რესტორან აუბ-სეგ მენიუში 9 მარტიდან გამოჩნდება კერძი, რომელიც საჭმელების ნარჩენებისგან იქნება დაზადებული.



ჩვენ ასეთ მენიუს ქარბი პროდუქტებისგან შევადგენთ, რათა ამით ყველას დავანახოთ, რომ ამ პროდუქტების გადაყრა არ ღირს, ვინაიდან ისინი ნარჩენებს არ წარმოადგენენ. ისინი კვლავაც გამოსადეგია მოხმარებისთვის, განაცხადა რესტორანის წარმომადგენელმა.

ამით რესტორანს სურს მოუწოდოს სასურსათო პროდუქციის სავაჭრო ქსელების წარმომადგენლებს, რომ კი არ გადაყარონ ზედმეტი პროდუქტები, არამედ საჭმელმოქმედო ორგანიზაციებს გადასცენ, რომლებიც ღარიბებს საკვებით უზრუნველყოფენ.

მექსიკაში სელფი ფანიანი იქნება



მექსიკის სახელგანთქმულ არქეოლოგიურ ძეგლთან სელფის გადაღების მსურველებს ფულის გადახდა მოუწევთ. მაიას ეპოქის ღირსშესანიშნაობასთან ფოტოსურათის გადაღება, რომელიც ეროვნულ პარკ ტულუმში მდებარეობს, ტურისტებს 45 პესო (დაახლოებით 2,5 დოლარი) დაუჯდებათ. პარკში შესასვლელი ბილეთი 60 პესო (3,3 დოლარი) ღირს.

ადგილობრივი ექსპურსიამბლოლების წარმომადგენელმა ხულიო ვილიაგომესმა განაცხადა, რომ ახალი წესები შეეხება მობილური ტელეფონების, პლანშეტების, ვიდეო და ფოტოკამერების გამოყენებას. მისი თქმით, სელფისთვის გადასახადის შემოღებამ ტურისტებს შორის უკვე გამოიწვია უკმაყოფილება, განსაკუთრებით, ადგილობრივებს შორის.

ტულუმში მექსიკის ერთ-ერთ მთავარ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს, მას ყოველწლიურად 2 მილიონამდე ადამიანი სტუმრობს.

მთაბზადა კახა ხატიაშვილიმა



ალვარო მორატა: ნარსულში არ ვიხედავი

ტურინში საოცარი სიტუაცია სუფევს - იუვენტუსმა ზედიზედ მე-12 მატჩი მოიგო და კონტეს მწვრთნელობისას დამყარებული რეკორდი გაიმეორა. კიევოსთან მატჩში კვლავ გაბრწყინდა ალვარო მორატამ, რომელმაც დუბლი მიითვალა.

მორატასთან ინტერვიუ იტალიურ მედიაში გამოჩნდა.

როგორ მიგდის საქმეები? მორიგი დუბლი და, როგორც ჩანს, დაბრუნდი.

გაგრძელება მე-9 გვერდზე

ლევან მჭედლიძე მოედანს დაუბრუნდა

ემპოლის ქართველი ლეგიონერი ლევან მჭედლიძე 5 თვიანი პაუზის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა. მჭედლიძე ნაპოლის წინააღმდეგ შეხვედრაში 68-ე წუთზე ცვლილებაში გამოვიდა, თუმცა თავის გუნდს დიდად ვერაფრით დაეხმარა, რადგან ემპოლიმ ის შეხვედრა 1:5 წააგო.

ქართველი გულშემატკვირისთვის სასიხარულოა, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი გამოჯანმრთელდა და ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ ისევ ითამაშა.

ემპოლის შემდეგი შეხვედრა საკუთარ მოედანზე უდინეზესთან აქვს და ამ თამაშში მჭედლიძე სავარაუდოდ სათადარიგოთა სკამზე იქნება.

ლევანდელ სეზონში ლევანმა ემპოლის მაისურით მხოლოდ 3 შეხვედრა ჩაატარა.

მთაბზადა ბექა გოგინაშვილიმა



ახსოვსხი ა

შეველად: 1. შავი, ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი მცენარე; 2. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 3. ძვირფასოვლებიანი ქალის ყელსაბამი; 4. მტაცებელი ფრინველი; 6. სამეფო რეზიდენცია მადრიდში; 9. სახელმწიფო აფრიკის სამხრეთში; 13. ოქროს ჩამოსასხმელი ყალიბი; 14. მატყუარა, ყალბის მქმნელი; 15. მაფიის სახელწოდება იტალიაში; 17. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 18. კუნძული წყნარ ოკეანეში, სადაც განთავსებულია ამერიკის სამხედრო-საზღვაო, საჰაერო ბაზა; 20. ელექტროდენის სიმძლავრის საზომი ერთეული.

თარაზულად: 1. ქართული ლიტერატურული ჟურნალი; 5. ოპერა „დაისი“-ს პერსონაჟი; 7. შავი და მარმარილოს ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 8. ზესტაფონის ძველი სახელწოდება; 10. ბოსტნეულის მავნებელი მწერი; 11. საშემოდგომო ხორბლის უმველესი ქართული ჯიშო; 12. ხელოვნების მუზეუმი რომში; 16. ქართული ტელეკომპანია; 17. ყველაზე წყალუხვი მდინარე აფრიკაში; 19. კუთხე საქართველოში; 21. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი მხარე; 22. ერთად აკინძული სურათების, ნახაზების, ილუსტრაციების კრებული; 23. აფხაზეთსა და სამეგრელოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიშო; 24. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გავრცელებული მაიშური.

1	2			3	4	5	6
			7				
8			9			10	
				11			
		12					
				13		14	
				15		16	
	17	18		19			
							20
				21			
22							
				23		24	

იუმორი

დაქალი დაქალს ეუბნება:
- გახდომა მინდა.
- რატომ?
- გამხდრები უყვართ.
- სულელო, გამხდრები კი არა, საყვარლები უყვართ.

მეგობარი მეგობარს ტელეფონზე ურევავს და ეკითხება:
- რას აკეთებ?
- თევის წვინანს.
- ვაა, თევის წვინანს გაკეთება იცი?
- ააა რა ცოდნა უნდა, თევის ნაჭერს ლუდს მიაცილებ და სულ ევაა.

გოგონა ბიჭს ეკითხება:
- მე შენთვის ერთადერთი ვარ?
- ააა რა, თორემ მეორე შენაირს რა გაუძლებდა!

გოგონა ბიჭს ტელეფონზე ეუბნება:
- ხვალ იქ მოდი, ერთმანეთს რომ ვხვდებოდით.
- შევრიგდეთ?
- არა, მიყურე, როგორ მიყვები სხვას.

კაცი მიდის და თავისთვის ლიწინებს:
„ეს ლობიო რა კარგია, კუჭს აძლავს, ბავშვებს არიბოს, ათ მეტროში ლამაზს აქრობს.“

ქალი და მამაკაცი მატარებლის კუბითი მგზავრობენ. გაიცნობენ ერთმანეთს, საერთო ნაცნობებს გამოახსენებენ. უცბად ქალი უნებურად პაერს გააფუჭებს. ძალიან შერცხვება და მამაკაცს ეუბნება:
- ბოდიშით, ძალიან გთხოვთ, ჩვენში დარჩეს ეს ყველაფერი...

- მეიცა დაიკო, რაის ჩვენში დარჩეს, ფანჯარა გამოაღე, სუნი გაუშვი გარეთ...

მამაკაცი სამშობიაროში მივა კოლ-შვილის წამოსაყვანად. ექიმი ეუბნება:
- უკაცრავად, მაგრამ დღეს შობათა და ამიტომ მორ-შობათამდე ვერ გაგატანთ.
- რატომ?
- ოფიციალურად ხომ უნდა გამოვწეროთ?!

- თუ გამოწერიდა, მაშინ, ფანჯარასთან რომ ქერათმინი ქალი წევს, ის გამოიწერეთ.

მთაბზადა კახა ხატიაშვილიმა